# საერთო გაზეთი

№36 (628)
ოთხშაბათი
6 ოქტომბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


# საქართველოში გიჟების დიქტატურა არ დამყარდება!



ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, საქართველო საგიჟეთად აქციონ, ნორმალური ადამიანები განზე გასწიონ და ერს წინ გიჟები, ფსიქოპატები, პროვოკატორები და ავანტურისტები წარუმძღვარონ. არ გამოგივათ ეს, სატანასთან შეკრულო ფარისევლებო და თვალთმაქცებო, არ მოგცემთ იმის უფლებას, საქართველოში გიჟების დიქტატურა დაამყაროთ და ეს ქვეყანა დაღუპოთ.



# „ქართული ოცნების“ ისტორიული გამარჯვება და ორი პარალელური სამყარო ერთ ქვეყანაში







**რამაზ საყვარელიძე:** ნაციონალებს რევოლუციაზე უარი არ უთქვამთ, უბრალოდ, ჯერ არ იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს



**იგორ კვესელავა:** დროა, ქართველებმა გავიხსენოთ, რომ რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია



**ლევან მამალაძე:** თუ სააკაშვილს ფსიქიატრიული შემოწმება ჩაუტარდება, სულაც არ არის გამორიცხული, მას უმძიმესი ფორმის შიზოფრენია დაუდასტურდეს

## ქალთა სახეები ქართულ პოლიტიკაში









## მიშა, ფიასკო და ვენერა ბებო

## უმიწაწყლო

# საქართველოში გიჟების დიქტატურა არ დამყარდება!

## დარწმუნებული ვარ, მეორე ტურში საქართველოს ოქროს რეზერვი გამოვა ასპარეზზე და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს



**ვახტანგ ხარჩილავა:**

ყველაზე მეტად, რაც ამ არჩევნებში გამიხარდა, ის არის, რომ „ქართულმა ოცნებამ" 47% აიღო, რითაც არანაირი შანსი არ დაუტოვა შარლ მიშელის „ბიბლიის" მიმდევრებს რიგგარეშე არჩევნებზე ილაპარაკონ.

**ნაცებო და ოპოზიციავ, ჩაიწყვიტეთ ახლა ხმა და 2024 წლამდე არჩევნების თემაზე თქვენი სუსი არ გავიგონო.**

ყველაზე მეტად რაც ამ არჩევნებში მეწყინა, ისაა, რომ კახა კალაძემ 45 პროცენტი აიღო, ნიკანორ მელიამ კი — 34.



მეწყინა იმიტომ კი არა, რომ კალაძის 45%-ია ცოტა, არამედ იმიტომ, რომ მელიას 34%-ია ბევრი.

34%-ი 156000 ადამიანს ნიშნავს.

მიჭირს იმის დაჯერება, რომ თბილისში 156000 უმადური ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც არც სიკეთის დანახვა, არც მისთვის, არც მისი და მისი შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობისთვის გაწეული შრომის დაფასება შეუძლიათ და მადლობისა და მადლიერების ნაცვლად კვანტის დადება და ზურგში დანის ჩარტყმა ეხერხებათ მხოლოდ.

მწყინს და გული მტკივა იმის გამოც, რომ ამ 156000 ადამიანს განსჯისა და საღად აზროვნების უნარი აქვს დაკარგული და ჰგონია, რომ შეჭრის, შევარდნის, პროვოკაციების მოწყობის ვიწრო სპეციალობის მქონე მელია უფრო კარგი მერი იქნება, ვიდრე კალაძეა.

უფრო ღრმად თუ ჩავუკვირდებით ამ ამბავს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამ 156000 ადამიანს არც ეს ქალაქი უყვარს, არც ეს ქვეყანა ეხატება გულზე და მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით და ეგოისტური ინსტინქტებით მოქმედებს.

სულაც არ ვფიქრობ ისე, რომ მხოლოდ „ქართული ოცნების" წარმომადგენელს უნდა მისცეს ხმა ყველამ და სხვაგან არ უნდა გაიხედოს, მაგრამ, **როცა „ნაცმოძრაობას" უჭერ მხარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მკვლელების, სადისტების, მოძალადეების პარტიას უჭერ მხარს, ანუ შენც პოტენციური მკვლელი და მოძალადე ხარ.**

ძალიან მკაცრი და მძიმე შეფასებაა ეს, მაგრამ სიმართლეა.

**156000 პოტენციური მკვლელი და მოძალადე ძალიან ბევრია ერთი ქალაქისთვის.**

**აი, ეს არის დასაფიქრებელი და საგანგაშო, თორემ კახა კალაძე მეორე ტურში რომ აუცილებლად გაიმარჯვებს, ამაში ეჭვი არ მეპარება.**

იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ყარტაყურტა ოპოზიციური პარტიების მოწოდებაზე, მეორე ტურში ყველამ მხარი მელიას დაუჭიროს, საკადრის პასუხს გასცემს ის ყველაზე მრავალრიცხოვანი „ოპოზიციური გაერთიანება", რომელსაც ქართველი ხალხის ის ნაწილი ჰქვია, რომელიც არჩევნებში არ მონაწილეობს, რადგან მასში მონაწილე არც ერთი პარტია არ მოსწონს ბოლომდე, მაგრამ თუ დგება კრიტიკული მომენტი, როცა საფრთხე ექმნება სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, ის ყოველთვის გამოდის ამ ინტერესების დასაცავად.

ამომრჩეველი, რომელმაც ამ არჩევნებზე მოსვლისგან თავი შეიკავა, არავითარ შემთხვევაში არ არის „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი, ის საქართველოს ოქროს რეზერვია, საქართველოს ერთგული გვარდიაა, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციების პარტიულ მიზნებზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებს.



მჯერა, რომ მეორე ტურში სწორედ ეს გვარდია გამოვა ასპარეზზე და ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების II ტური იგივე მნიშვნელობისაა, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები...

●

გიორგი გახარიას მინდა ვკითხო: ბედნიერი ხართ, ბატონო გიორგი, იმ მიღწევით, რასაც თბილისის მერის არჩევნებში მიაღწიეთ?

დიდ სულიერ კმაყოფილებას და შვებას გგვრით ის, რომ თქვენი წყალობით მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობა დადგა და ამ მეორე ტურში, ისევ თქვენი წყალობით, ნიკანორ მელია იბრძოლებს გამარჯვებისთვის?

არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ის ნიკანორ მელიაა, რომელიც თქვენი კატეგორიული განცხადებით, ციხეში უნდა იჯდეს, თქვენ კი მერის არჩევნებში თქვენი მონაწილეობით, ეს საციხო კაცი მეორე ტურში გაიყვანეთ და მერობისთვის ბრძოლის შანსი მიეცით, რითაც თქვენთვის საძულველი „ნაცმოძრაობის" საქმე გააკეთეთ.

რას მიაღწიეთ ამით? „ქართული ოცნების" იმ წარმომადგენლებზე იძიეთ შური, ვინც რაღაცით გაწყენინათ და ამ შურისძიებას იმ ქვეყნის ინტერესებიც გადააყოლეთ, რომელიც, თქვენი მტკიცებით, ძალიან გიყვართ, თურმე.

ესაა ქვეყნის სიყვარული, ბატონო გიორგი?



●

— რას აგიჩემებიათ ეს მეგრელები და მეგრელები? რაც ზუგდიდში მოხდა, განა იგივე არ მოხდა ქუთაისში, ბათუმში, თელავში, თბილისში? — ასე პასუხობენ მეგრელები მავანთა და მავანთა საყვედურზე — ანზორ მელიას როგორ მიეცით ხმა მეგრელებმაო?

სხვისი არ ვიცი და მეც ძალიან მიკვირს, რა დაემართა ამ ჩემს ძვირფას და საყვარელ სამეგრელოს, რა დაემართათ ჭკუით, გონებით, გამჭრიახობით გამორჩეულ მეგრელებს, ხან სანდრას რომ უფენენ ია-ვარდებს, ხან — ანზორ მელიას?

რა სჭირთ ამ ადამიანებს? ვის ჯიბრზე აკეთებენ ამას, ვის ებრძვიან? რას ებრძვიან? ვის ექიშპებიან?

კი, ბატონო, ანზორ მელიას, როგორც ექიმს, როგორც ასაკოვან ადამიანს, პატივი უნდა სცე, კოლხური თავაზიანობითა და კრძალვით უნდა მოექცე, მაგრამ, რატომ უნდა გინდოდეს, ეს დროული კაცი, ქალაქის მერად, როცა წინასწარ იცი, რომ ის ამ მოვალეობას ვერ შეასრულებს და იმ უმძიმეს ტვირთს ვერ ასწევს, რასაც ქალაქის მერობა ჰქვია.

ქალაქის მერობა საპატიო მოქალაქეობა ხომ არ ჰგონია ვინმეს, ქალაქის მერობა 24-საათიანი სამუშაო გრაფიკია, რომელიც თავდადებულ შრომას მოითხოვს.

ორ-სამ თვეში, როცა ქალაქში ყველაფერი თავდაყირა დადგება, ხომ მიხვდებით, ზუგდიდელებო, რომ ძალიან მაგრად შეგეშალათ, აი, მერე რას შვრებით, მეგობრებო, ბატონ ანზორს ჩამოალაბორანტებთ და ახალ არჩევნებს მოითხოვთ?

მიკვირს, ნამდვილად მიკვირს, რატომ იბრძვით საკუთარი თავის წინააღმდეგ და ძველ პრობლემებს ახალ პრობლემებს რატომ უმატებთ?

ისიც ძალიან მიკვირს, **რატომ არ ისმის ამ დიდი ტრადიციების ქალაქიდან ჭკვიანი, გონიერი, ბრძენი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების ხმა, რომლებიც, ვიცი, მრავლად არიან ზუგდიდში და რატომ ისმის მხოლოდ ანი წითლიძის წიკვინი?**

**სამეგრელოს ახალი „მთავრინაა" ეს თავხედი და პროვოკატორი წითლიძე, სიტყვის შებრუნებას რომ ვერ უბედავთ, თუ რაშია საქმე?**

სირცხვილია და თავისმოჭრა, რაც დღეს ზუგდიდში ხდება, ყველა ღირსეული ზუგდიდელის შეურაცხყოფაა ეს, მთელი სამეგრელოს შეურაცხყოფაა და რაც უფრო მალე მიხვდებით ამას, ძვირფასო მეგრელებო, მით უფრო კარგი თქვენთვის და მრავალტანჯული სამეგრელოსთვის.



●

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, საქართველო საგიჟეთად აქციონ, ნორმალური ადამიანები განზე გასწიონ და ერს წინ გიჟები, ფსიქოპატები, პროვოკატორები და ავანტურისტები წარუმძღვარონ.

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს რუსთავის ციხეში ავაზაკი და ბოროტმოქმედი კი არა, წმინდანი უზით, რომელიც მტარვალებისგან უნდა დაიხსნა.

არ გამოგივათ ეს, სატანასთან შეკრულო ფარისევლებო და თვალთმაქცებო, არ მოგცემთ იმის უფლებას, საქართველოში გიჟების დიქტატურა დაამყაროთ და ეს ქვეყანა დაღუპოთ.

# ნაციონალებს რევოლუციაზე უარი არ უთქვამთ, უბრალოდ, ჯერ არ იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს

***გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:***

**— ბატონო რამაზ, რას გვეტყვით: როგორ ჩატარდა არჩევნები?**

— მე, რა უნდა გითხრათ, როცა ეს, უკვე, ნათლად თქვეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა — არჩევნები მშვიდ, დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა. რაც შეეხება შედეგებს, გასაკვირი არაფერია. გვექნება მეორე ტური, რაც თავისთავად, არჩევნებისთვის ცუდი არ არის, პირიქით, ეს დემოკრატიის ნიშნად მიიჩნევა.

**— გვარამიამ, მხოლოდ, თბილისის მონაცემები გამოაქვეყნა და გვამცნო: პარტია რომელმაც თბილისი წააგო მმართველობაში ვერ დარჩებაო. ეს რას ნიშნავს?**

— ჯერ ერთი, „ქართულ ოცნებას“ არ წაუგია, მან ხმების 47% მოიპოვა. მეორეც, ეს პრინციპი, თითქოს, თბილისის დამარცხება ზოგად მარცხს ნიშნავს, ომის პირობას წააგავს. ომში ასეა — დედაქალაქს თუ აიღებ, ქვეყანა დაპყრობილი გაქვს. თავისთავად, ასეთი საომარი თვალსაზრისით მოვლენების ყურება, ყოვლად მიუღებელია. როგორც ჩანს, ნაცებისთვის პოლიტიკა მხოლოდ-დამხოლოდ ომია. მათთვის, როგორც ომში, ისე არჩევნებშიც, ყველა ხერხის გამოყენება ნებადართულია. ვერ ხვდებიან, რომ ეს ამ პარტიის პრობლემაა. „ნაციონალური მოძრაობა“ დიდ მიზნებს ვერასდროს მიაღწევს და ყოველთვის, ასე მოჭიჭყინე, ჭირვეულ ძალად დარჩება.

**— „მთავარი“ არხის მიერ ოპოზიციის გამარჯვებულად გამოცხადება რას ნიშნავს — მოდელირებულ გამარჯვებას ამზადებენ?**

— რა თქმა უნდა. მეტიც, კი არ ამზადებენ, მათ, სჩვევიათ მოდელირებული გამარჯვება. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, 2008 წლის ომში მარცხის მერე რა ზარ-ზეიმი მოაწყო „ნაცმოძრაობამ“ რუსთაველის პროსპექტზე. მაშინ ერთ-ერთმა რუსულენოვანმა ჟურნალისტმა დამირეკა და მკითხა: ვერავინ გამცა პასუხი, რას ზეიმობს საქართველო, როცა ომში დამარცხდაო? არ ვიცოდი რა მეპასუხა. საბოლოოდ, მომიწია მეთქვა, რომ ხალხის მორალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სიტუაციის გამოკეთების მიზნით ზეიმობენ-მეთქი. ნაცები ყოველი ფეხის ნაბიჯზე მსგავსად იქცევიან. მუდმივად გაიძახიან: ჩვენ, გავიმარჯვეთ, მეტოქე დამარცხდაო მიუხედავად იმისა, რომ რეალობა, რადიკალურად სხვაა. შიდა ბრძოლებშიც იგივეს იმეორებენ. ეს, უკვე, პოლიტიკური შეფასების საზღვარს სცდება. ფაქტის კონსტანტაციას ვახდენ: „ნაციონალური მოძრაობა“ სხვა პარტიებისგან განსხვავებით, იმას კი არ ცდილობს, რომ ქვეყნის მართვაში მიიღოს მონაწილეობა, არამედ მის ნგრევაში. ამომრჩევლების გარკვეულ ნაწილს, სამწუხაროდ, მათი სჯერათ, აღფრთოვანებულნიც არიან. ამ კატეგორიის ხალხი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოში ამას პროცენტული მაჩვენებელიც ცხადყოფს. ნიკანორ მელიას 34%-იანი მხარდაჭერა აქვს. ეს ხომ სწორედ ის ხალხია, ვინც გვარამიას მანიპულაციებს არის აყოლილი. თავიანთ პროცენტს იღებენ, დანარჩენი არ აინტერესებთ.

**— ბატონო რამაზ, ტელევიზიებმა ეგზიტპოლების იმდენად განსხვავებული შედეგები გამოაქვეყნეს, თითქოს, იგი სამ, სხვადასხვა, ქვეყანაში ჩატარდა.**

— ეგზიტპოლებიც სოციოლოგიაა, ხომ. თუ ეგზიტპოლების მონაცემებით მავანი აცხადებს, რომ გაიმარჯვა, მაშინ რაღად გვინდა არჩევნები, პირდაპირ სოციოლოგიური კვლევებით იხელმძღვანელონ. ეგზიტპოლების მონაცემებზე ადამიანებს ცრუ მოლოდინები უჩნდებათ, რის საფუძველზეც მერე რევოლუციები ხდება. დიახ, აშშ-ში არჩევნების პერიოდში ეგზიტპოლების ჩატარება, აკრძალულია. პრობლემა ხალხის ხასიათია. აი, იმ პროცენტს რას ვუშვებით, ეს კიდევ ცალკე თავის ტკივილია. პროცენტულად მცირე სხვაობის დროს, შეიძლება, შედეგში დიდი განსხვავება მივიღოთ. ეს შედეგები, შესაძლოა რევოლუციის ნიადაგის მოსაწყობადაც იქნას გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ დღეს, რევოლუციის მოწყობას ვერ ბედავენ, მოგვიანებით დააანონსებენ: არ ვენდობით არჩევნებს, გააყალბეს და ქუჩაში გავდივართო. იტყვიან: ხომ ხედავთ ამ კვლევებით „ნაცმოძრაობა“ ლიდერობდა და არა „ქართული ოცნებაო“. თუ დააკვირდით, ახლა, გაყალბებაზე საუბარზე მეტად, ყვირიან: გავიმარჯვეთო. ეს ერთი რამით აიხსნება: შეიძლება, ჯერ არ იციან: როგორ დაიწყონ რევოლუცია.

**— ნაცების „დირიჟორმა“ გვარამიამ ოპოზიციას 60% აქვს და კოალიციურ მთავრობას შექმნისო. ეს რამდენად შესაძლებელია?**

— არანაირი მექანიზმი იმისა, რომ მცირე პროცენტით მოსულმა პარტიებმა მთავრობის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონიონ, არ არსებობს. მათი ლოგიკით რა გამოდის: ვისაც ხალხი მხარს არ უჭერს და 1%-იან ნდობას უცხადებს, ისინი თუ ჩამოაყალიბებენ მთავრობას, ეს იქნება დემოკრატია?! რბილად რომ ვთქვათ, ეს ღიმილის მომგვრელია. გაგახსენებთ, გერმანიაში ჩატარდა არჩევნები, სადაც მერკელის პარტიამ წააგო. მას 27% ერგო, დანარჩენი — ოპოზიციას. თუმცა, იქ, აზრადაც არავის მოსვლია: ოპოზიცია გაერთიანდება და კოალიციურ მთავრობას შექმნისო. ასე, რომ მოხდეს, არჩევნებს მთლიანად ეკარგება აზრი. ვიმეორებ, თუ უმცირესი პროცენტების მქონე პარტიებიც კი მთავრობას აკომპლექტებენ, მაშინ არჩევნები რა საჭიროა?!

კოალიციის შექმნის უფლება აქვს იმ პარტიას, რომელმაც ბევრი ხმა დააგროვა. ასეთი პარტია გახლავთ „ქართული ოცნება“. ასე, რომ თუ კოალიციის საკითხი დადგება, სწორედ, „ქართული ოცნება“ იქნება ის პარტია, ვინც კოალიციას შექმნის. ანუ, იგი, თავად გადაწყვეტს რომელ პარტიებთან ითანამშრომლებს.

ნაციონალებს სურთ კოალიცია ლეღვის ფოთლად გამოიყენონ. ოპოზიციაში ყველაზე მეტი პროცენტი „ნაცმოძრაობას“ აქვს. ფაქტობრივად, კოალიციის — ლეღვის ფოთლის აფარებით ცდილობენ მართვის სადავეები მათ ხელში გადავიდეს. ასე, რომ ნებისმიერ ტერმინში „ნაცმოძრაობა“ იკითხება. ამიტომ იბრძვიან კოალიციისთვის, რომ ბურთი და მოედანი თავად დარჩეთ.

**— „ქართულმა ოცნებამ“ 43% გადალახა, თუმცა, ოპოზიცია მაინც ვადამდელ არჩევნებზე საუბრობს. თქვენი მოსაზრება როგორია ამ საკითხზე?**

— 90%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება. თუმცა, ნაცებისგან ყველაფერს შეიძლება ელოდო. დაიწყებენ მტკიცებას, რომ არჩევნები გაყალბდა და რეალურად, „ქართულ ოცნებას“ 47% არ მიუღია. იპოვიან მორიგ სოციოლოგებს, შექმნიან ახალ სცენარს, შედეგად, დაიწყებენ ქუჩაში საპროტესტო აქციების გამართვას, როგორც ეს 2020 წლის არჩევნების მერე გააკეთეს. ქვეყანას ისევ დესტაბილიზაციის, ქაოსისკენ უბიძგებენ. ვთქვათ, დასავლეთი ისევ შეეცადა სიტუაციის მოგვარებას და ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნები შესთავაზა. ამ შემთხვევაში, მმართველი გუნდი მკაფიო გამარჯვებას მოიპოვებს. ხოლო რაც უფრო მიუახლოვდება კალენდარი 2024 წელს, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება გაუჭირდება. ყოველი ახალი გამარჯვება, მისთვის, სულ უფრო და უფრო რთული იქნება. იმიტომ, რომ ხელისუფლებაში, მუდმივად, „ქართული ოცნების“ ყოფნა, იდეალურებიც რომ იყვნენ, დიდი რისკის შემცველია. ადამიანებს ერთიდაიგივე ხელისუფლება, მოლაპარაკე თავები ბეზრდებათ.

**— ამ არჩევნებმა რა აჩვენა — უჭერს მოსახლეობა „ქართულ ოცნებას“ მხარს?**

— რა თქმა უნდა, უჭერს, მაგრამ აქ, ერთი ფაქტორი მუშაობს — ეს არის ნაცებთან დაპირისპირება. იმის ხარჯზე, რომ ნაცები უფრო მიუღებელია, ვიდრე „ქართული ოცნება“, გამარჯვება მათ მხარესაა. ქალის თვისებაა: ლამაზი მანდილოსანი ამჯობინებს მასზე ნაკლებ მიმზიდველის გვერდით იაროს, რათა ამ კონტრასტით, მისი სილამაზე, უფრო მეტად დაფასდეს. „ნაციონალებთან“ კონტრასტით იმარჯვებს „ქართული ოცნება“. შავ ფონზე, რუხი ლაქა, თეთრად აღიქმება.

**— რეალურად, არჩევნები საზოგადოების გამოცდაა. რა აჩვენა თვითმმართველობის არჩევნებმა — როგორი საზოგადოება გვყავს?**

— ამ არჩევნების მიხედვით, საზოგადოებას დიდ პოლიტიკურ სიმწიფეს ვერ ვამჩნევ. პოლარიზაცია მაინც მძაფრია. ძალიან მიჭირს ერთი რამის გაგება — ნაცების მობრუნებას მოსახლეობის 30% მხარს უჭერს. ასეთი რამ, ყოვლად წარმოუდგენელია. მხარდამჭერები ფანატიურად შეყვარებული ადამიანები არიან. თუმცა, ფანატიზმი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი არაა.

**— მართლაც, წინა არჩევნებთან შედარებით ნაცების მხარდამჭერთა მაჩვენებელმა მოიმატა. ამას რით ახსნით?**

— კი, ასეა. ჩემს უბანში, კორპუსის პირველ სართულზე ერთი წესიერი, კეთილი ადამიანი ცხოვრობს. მან სახლის წინ მიწა შემოღობა და ყვავილები, ვენახი გააშენა. მეზობელმა მერიაში უჩივლა და ღობე მოახსნევინეს. მას მერე, „ქართული ოცნების“ გაგონება არ უნდა. გზაში შემხვდა და მითხრა: შენ, სულ ამართლებ „ქართულ ოცნებას“და ასე როგორ შეიძლებაო. ვუპასუხე: აბა, ნაცები გინდა-თქო. მიპასუხა: ქოცებს ყველა აჯობებსო. აი, ასე მარტივად, ნაცებმა, ამ კაცისგან, ერთი ხმა მიიღეს. ასეთი ფაქტები, ბევრია. რადგან სხვა არჩევანი არ არის, „ქართული ოცნებით“ უკმაყოფილო ადამიანი, ხმას ნაცებს აძლევს. პროცენტის ზრდა განპირობებულია „ქართული ოცნებით“ უკმაყოფილო ადამიანებისგან და არა ნაციონალური მხარდამჭერისგან.

**— სააკაშვილი დაიჭირეს, თუმცა, ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ.**

— მინიმუმ ერთი დანაშაული კიდევ მიემატება — საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა. ის რა ბრალდებებიც ამ ეტაპზე გვესმის, არაფერია იმასთან შედარებით, რაც მისი მმართველობის 9-წლიან პერიოდში ადამიანების მეხსიერებაში დაილექა. არ ვიცი „ქართული ოცნება“ რამდენად მოახერხებს ამ დანაშაულობების წინ წამოწევას. მიზეზებმა, რის გამოც ადრე გაჩუმდნენ, შეიძლება, ახლაც, შეუშალოს მათ ხელი მიშას რეალური დანაშაულობებისთვის გასამართლებაში. ეს გახლავთ, იგივე, უცხოეთის კრიტიკული დამოკიდებულება — ეს პოლიტიკური დევნააო. ასევე, ძალოვან სტრუქტურებში ბევრი ნაცია და მათაც პასუხისგება რომ არ მოუწიოთ, მიშას დანაშაულობების კვალს აქრობენ და ა.შ. ბევრი მექანიზმი მუშაობს საიმისოდ, რომ საქართველოს მხრიდან მიშას წინააღმდეგ ბრალდებები ცხადი გახდეს. რაც მთავარია, მისი ყველაზე დიდი დანაშაული, 2008 წლის ომია.

კობახიძემ თქვა: სააკაშვილი აქ, რუსული საქმის გასაკეთებლად ჩამოვიდაო. იგულისხმობოდა, არეულობის მოწყობა. რუსულ მედიაში, ეს ფრაზა, მაშინვე აიტაცეს და მისი სხვადასხვა კუთხიდან განხილვა დაიწყო. სააკაშვილს 2008 წლის მოვლენებში ბრალი რომ წაუყენო, მაშინ იგი უნდა დაადანაშაულო როგორც ქვეყნის ინტერესების გამყიდველი. გამოდის, ისიც უნდა თქვა: ვინ იყიდა? — მყიდველი რუსეთია. ასე, ბრალდებების დიდი რიცხვი, რასაც სააკაშვილის მისამართით ვიტყვით, რუსეთზეც გავრცელდება, რაც საქართველოს მძიმე ვითარებას შეუქმნის. რუსეთის შეტევის მოგერიება, ადვილი არ იქნება. ფაქტობრივად, ეს რუსეთის დადანაშაულება გამოვა და საქართველოს მკაფიო დამადასტურებელი ფაქტები დასჭირდება. მერე, ვინ არის მსაჯული? ვინ არის რუსეთის დამსჯელი?

**— სააკაშვილი დიდ ხანია გვპირდება დაბრუნებას. ამჟერად, ეს მართლაც გააკეთა. მიზანი რა იყო?**

— სიმართლე გითხრათ, მის დაბრუნებას არ ველოდი. როგორც ჩანს, რევოლუციის მოსაწყობად ჩამოვიდა. ამბობდა კიდეც: წადით არჩევნებზე და მეორე დღეს, ქუჩაში გამოდითო. სცენარი, ალბათ, ასეთი იყო: ხალხი ქუჩაში რომ გამოვიდოდა, იქ, მიშას აღმოაჩენდნენ. სააკაშვილით შეიარაღებული ხალხი კი უფრო დიდი და ძლიერი ტალღა იქნებოდა.





თამარ შველიძე
555 23 28 24

# „ქართული ოცნების“ ისტორიული გამარჯვება და ორი პარალელური სამყარო ერთ საქართველოში

## კიდევ კარგად გაქაჩა „ქართულმა ოცნებამ“, კიდევ კარგად სულდგმულობს ამდენი ღალატის გადამკიდე საქართველო!

დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნები ვნახე და ახლა რომ იყო ადგილობრივი თვითმმართველობისა, ასეთი არ მინახავს. არც კი ვიცი, უნდა აღვშფოთდე თუ უნდა „დავშფოთდე“!

არა, კი ვიცი, სწორედ ახლა, ამ წუთას მმართებს წონასწორობის შენარჩუნება, მაგრამ მაინც გაფრთხილებთ, თუ ამ წერილის წერისას, მოვლენების შეფასებისას პერიოდულად „გადავბრაზდი“, არ გაგიკვირდეთ!

მოკლედ, ჩემი დაკვირვებით, ამ ქვეყანაში არსებობს ორი პარალელური სამყარო და ასევე... არსებობენ ადამიანის მსგავსი არსებები, რომლებიც გადმოსხმულები არიან სხვა პლანეტუკიდან, მიმდინარეობს ექსპერიმენტი. დიახ, სწორედაც რომ პლანეტუკიდან, საიდანაც ესენი ჩამოყარეს, ვერ იქნება სერიოზული პლანეტა. შეხედეთ ნიკანორ მელიას, შეხედეთ ფუტურო გია ბარამიძეს, ეკა ხერხეულიძეს, ზაზა ოქუაშვილის კნეინას, თინა ბოკუჩავას, თაკო ჩარკვიანს, მათნაირებს, თვით მათ ბელად მიხოს (რომელიც საკანში ზის), აქაურები არიან? არჩევნები წააგეს, არჩევნებში დამარცხდნენ და მაინც ზეიმობენ, მოვიგეთო. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი დღეები მახსენდება, დამარცხება გამარჯვებად რომ შემოგვასაღეს.

მოვიგეთო, ხალხნო, „ქართული ოცნება“ ყველა მუნიციპალიტეტში გავანადგურეთო, მოვსპეთო, საქართველო ჩვენს ხელშიაო. ვერსად ვერ მოიგეს, პირველივე ტურში არსად არაფერი გამოუვიდათ!

2 ოქტომბერს სამ ე.წ. სატელევიზიო არხზე (მოსახლეობა უბორნიებს რომ უწოდებს) პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა „რევოლუცია“ ჯერ არნახული – ნიკა გვარამიას, ეკა კვესიტაძის, ინგა გრიგოლიას, დიანა ტრაპაიძის (რომლის ქმარიც სახელმწიფო სამსახურშია, ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესსამსახურის „ნაჩალნიკი“ გახლავთ), ვახტანგ სანაიას და ნინო ჟიჟილაშვილის შესრულებით. ისინი მთელი დღე აცხადებდნენ, არჩევნები ტოტალური ტერორის პირობებში ტარდებაო. ამ დროს ევროპიდან ჩამოსული დამკვირვებელი, თავისუფლებისა და სოლიდარობის ფონდის წარმომადგენელი ივარს ბანდონისი (სხვა არხზე) ასეთ რამეს ამბობდა: „არაერთ ქვეყანაში ვყოფილვარ სადამკვირვებლო მისიით და შემიძლია ვთქვა, რომ ეს არჩევნები ბრწყინვალედ ჩატარდა. ჩემი შეფასებაა, ყველაფერი იყო ძალიან გამჭვირვალედ განხორციელებული, ფაქტობრივად, არ არსებობდა სივრცე რაიმე შეცდომისა“.

მიუხედავად ამისა, ჭუტას, კუტას და წუტას კორესპონდენტები მაინც თავქუდმოგლეჯილები დარბოდნენ და ქვეყნიერებას ამცნობდნენ, რომ საქართველოში ბნელა, გრიგალია, დახოცილი ხალხი ქუჩებში ყრია, „ოცნება“ ძალადობს, ზოგი მკვდარი მაღაზიის თავზეა შემოდებული, ზოგი ოქროყანის ხევ-ხუვებშია გადაგდებული, რუსთაველზე „კასტილიანი“ კაცი დადის, ვინც შეხვდება, ყველას აუპატიურებს, სოლოლაკის დაღმართზე სისხლის მდინარეები მოჩუხჩუხებს... ნატო გოგელია (აწყვეტილი ქალი ნოდარ მელაძე) იმ დონემდეც კი მივიდა, დასავლეთ საქართველოს ქუჩებში ცარიელ მანქანებს ეჩხუბებოდა, არჩევნებს აყალბებთ, მანდ ფული რიგდებოდა, ხალხის მოსყიდვა მიმდინარეობდაო.

გამორთავ ან გადართავ ტელევიზორს, ირგვლივ სრული სიმშვიდეა... ჩართავ, გადმორთავ, ისევ გვარბევენ, გვცემენ, თავ-პირს გვინგრევენ და იმას გვიშვრებიან, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. მეტიც, როგორც წესი, ბიძინა ივანიშვილი ყოველდღე გვაწამებს!

ზემოთ ვთქვი, ჯერ არ ვიცი, უნდა აღვშფოთდე თუ „დაღვშფოთდე“-მეთქი... ახლა ზემიწევ-



ნით გაგიშიფრავთ, რატომ ვარ ამ მდგომარეობაში. ესე იგი, თუ ამ არჩევნებს გარეგნულად შევხედავთ, მშვენივრად ჩატარდა – დემოკრატიამ არა მხოლოდ იზეიმა, ფრთები გაშალა და გაიჯეჯილა. ა, ბატონებო და ქალბატონებო, ნახეთ, ცესკოს მიერ გამოცხადებული საბოლოო შედეგების თანახმად, თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ხმების რაოდენობა ასე გადანაწილდა:

კახა კალაძე – 44,96%; ნიკანორ მელია – 33,94%; გიორგი გახარია – 9,33%; თამარ კეკენაძე – 0,62%, გიორგი ლომია – 1,48%; ანა ბიბილაშვილი – 2,53%; მიხეილ ქუმსიშვილი – 0,83%; გიორგი ქუთათელაძე – 0,14%; თეიმურაზ ბობოხიძე – 0,07%; გიორგი ლაღიძე – 0,11%; რიჩარდ ოგბუნუჯუ – 0,6%; ქეთევან ნაკაშიძე – 0,1%; ევგენი ღვინიაშვილი – 0,08%; ზაზა ხატიაშვილი – 0,37%; ანა დოლიძე – 4,64; გიორგი გაჩეჩილაძე – 0,2.

ვინაიდან 50%-ზე მეტი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა, 23 ოქტომბერს თბილისში მეორე ტური გაიმართება. მერობითვის კახა კალაძე და ნიკანორ მელია იბრძოლებენ. კალაძე კი არის პირველ ადგილზე და მეორე ტურსაც იოლად მოიგებს, მაგრამ ასეთ შედეგს დედაქალაქში მაინც არავინ ელოდა, აქ არჩევნები 2 ოქტომბერსვე უნდა დასრულებულიყო. რა მოხდა? ისევ ღალატი, ვერცხლი, თეთრი კბილი და შავი გული! – აი, ეს მოხდა. გინდათ, გითხრათ სრული სიმართლე? სანამ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია თავის კანდიდატურას წარადგენდა, კახა კალაძესთან მივიდა სავაჭროდ, ფულის სათხოვნელად. თუ კალაძე გადაუხდიდა, კანდიდატურას აღარ დააყენებდა. მან „მაყუთის“ ნაცვლად სამი თითის კომბინაცია მიიღო და იყარა კიდევაც „ჯავრი“. დაუკვირდით, გახარიამ ზუსტად ის პროცენტები წაიღო, რომელიც „ქარტულ ოცნებას“ ეკუთვნოდა.

კახა კალაძე მეორე ტურს მაინც მოიგებს, მაგრამ რა მიიღო ამ შემთხვევაში ბატონმა გახარიამ? აქ ორი ვერსია მაქვს: პირველი – რაც ვერ მიიღო „ოცნების“ კანდიდატისგან, მიიღო მიხეილ სააკაშვილისგან (თემურ ალასანიასგან); მეორე – მიიღო არაფერი, უბრალოდ თავის მოღალატეობრივ საქმიანობას კიდევ ერთი მოღალატეობრივი პუნქტი შეჰმატა. რას იზამს მოღალატე გახარია მეორე ტურის მიმდინარეობისას, მოუწოდებს თუ არა (თავისი ვირეშმაკობის გამოსწორების მიზნით მაინც) მომხრეებს, კახა კალაძეს მისცენ ხმა? არა მგონია, არ არის გახარია ის კაცი, ზოგიერთს რომ ჰგონია. უბედურება ის არის, რომ ამან, ამ გრაფიკიდან ამოვარდნილმა „ქართული ოცნებიდან“ ადამიანები რომ წაიყვანა (გადაიბირა), ისინიც ღალატის გზაზე დააყენა. ახლა რას იზამენ ისინი, მელიას დაუჭერენ მხარს? დაუჭერენ და ეგრევე ოფიციალურად „განაცდებიან“. ამათ საქციელზე ვხარხარებ ხოლმე, თუ ვინმე გახარიას გააკრიტიკებს, ეგრევე მისცვივდებიან ხოლმე და აუტეხავენ ხოლმე სკანდალს, შე ქოცოო! გაიგონეთ? შე დამპალო ქოცო, ქვეყანა რომ დაღუპეთ, ვერ ხედავთო? ამას იძახიან ისინი, გუშინ ყველაზე მაგარი ქოცები რომ იყვნენ. ეს კიდევ ცალკე თემაა, მეგობრებო, ამასაც უნდა მიეხედოს არჩევნების შემდეგ, ყველას და ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. სხვათა შორის, არჩევნების მეორე დღეს განაწყენებულმა საზოგადოებამ უკვე დაიწყო გახარიას ძებნა – „კოკაინა“ სად არი, ალასანიას დავალება შეასრულა და ისვენებსო? „კოკაინა“ – ეს ახალი იარლიყი სამუდამოდ აიკრა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ერთ დროს ქართველი ვაჟკაცი გვეგონა!

ისე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ზოგიერთს ხუმრობით მივმართო: შე კაი კაცო... თუ ქალო (დახედეთ მერობის მსურველთა სიას და მიხვდებით, ვის ვგულისხმობ, ხელახლა ჩამოთვლა მეზარება), ნიგერიის ერთ-ერთი ორლობის მეფე რომ გაჯობებს, თავს გარეთ როგორღა ჰყოფ! კი გითხარით, ამათი ხსენება მეზარება-მეთქი, მაგრამ ნინო ბურჯანაძე-



ზე უნდა გითხრათ: რაღაც ახალი პარტიით დარეგისტრირებულა, „ვადამდელი არჩევნები – დემოკრატიული საქართველო“ დაურქმევია, არც კი ვიცოდი, ალბათ არც თქვენ იცოდით, 7 მუნიციპალიტეტში წარუდგენია კანდიდატურები და 0,05% მიუღია. არ დაიჯერებთ, ვერც მე ვიჯერებდი, მაგრამ ფაქტია, ცესკომ გამოაქვეყნა, ამას, ამ ბურჯანაძეს ნიგერიის ერთ-ერთი ოროლობის მეფემ, რიჩარდ ლომგულ ოგნუბუჯუმ აჯობა – მან 0,6% მიიღო. ამოცანა გვეკითხება: ბურჯანაძემ ოგბუნუჯუსთან კავშირი რომ შეჰკრას, ბლოკი შეჰქმნას და არჩევნებში იმონაწილეოს, განა პარლამენტში ვერ შეგოგმანდება?

სწორედაც რომ შეგოგმანდება, განა ამ ქვეყნის ელექტორატს მეტი უნდა?!

განა თაკო ჩარკვიანი ეგრე არ მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში? განა მაგას და ჭიჭე ვაშაძეს ზუსტად ამდენივე პროცენტი არ ჰქონდათ ერთად დაანგარიშებულებსა!

ამაზეა ნათქვამი, ხერხი სჯობია ჩაქუჩსა, თუ კაცი მაიგონებსაო!

მიდი, ნინა ძალო, მიდი, ხვალვე გამართე საგანგებო მოლაპარაკებები მეფე რიჩარდ ლომგულ ოგნუბუჯუსთან, დრო აღარ ითმენს. ჰო, ანზორ ბიწაძის ჩაწერა არ დაგავიწყდეთ სიაში, დაიტანჯა ბიჭი ლოდინით.



ახლა კი, მეგობრებო, ვნახოთ, ხმათა რა რაოდენობა მოაგროვეს პოლიტიკურმა პარტიებმა:

„ქართული ოცნება“ – 46,65%;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 30,7%;

„გახარია – საქართველოსთვის“ – 7,79%;

„ლელო“ – 2,71%;

„ზურაბ გირჩი ჯაფარიძე – 1,44%;

„ანა დოლიძე – ხალხისთვის“ – 0,85%;

„ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“ – 0,83%;

„ელენე ხოშტარია – დროა“ – 0,62%;

„გირჩი“ – 0,95%;

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 1,46%;

„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 1,38%;

„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – 1,66%;

„მესამე ძალა – სტრატეგია აღმაშენებელი“ – 1,34%.

რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, მათ პულსი არ ესინჯებათ.

როდესაც ამ წერილს ვწერდი, ვფიქრობდი, რომ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებისა და არჩევნებში დამარცხების შემდეგ საქართველოში უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა, ეს ან ავის მომასწავებელი რამ იყო, ან კიდევ უძლურების ნიშანი. თუმცა, აჰა, თაკო ჩარკვიანმა „დამამშვიდა“, ფართომასშტაბიანი აქციების თაობაზე დამატებით გაცნობებთო. მან რუსთავის ციხეში წამოკოტრიალებულ მიხეილ სააკაშვილსაც მიმართა: ძმაო და მეგობარო, მუდამ შენს გვერდით მიგულეო. ვერაფერს იტყვით, ეს დიდი მამულისვილობაა თაკოს მხრიდან.

მოკლედ, მინდა გაცნობოთ, რომ თბილისის 50-წევრიან საკრებულოში „ქართული ოცნება“ მანდატების უმრავლესობას აიღებს. სავარძლები სავარაუდოდ ასე განაწილდება:

„ქართული ოცნება“ – 19 პროპორციული და 9 მაჟორიტარული მანდატი. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური მხოლოდ საბურთალოზე გაიმართება. „ნაციონალური მოძრაობა“ – 13 მანდატი, „გახარია საქართველოსთვის“ – 4 მანდატი, „ლელო“ – 2 მანდატი, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე“ – 1 მანდატი, „ანა დოლიძის პარტია“ – 1 მანდატი. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“

სანამ ამ მონაცემებს გავეცნობოდით, სანამ ამის დრო დადგებოდა, მანამდე იყო ეგზიტპოლები. როგორც წესი, ნიკა გვარამია-კეზერაშვილის დაკვეთით ჩატარებულმა ე.წ. კვლევებმა საზოგადოება „შოკში“ ჩააგდო. ედისონ ღესეარცჯ-ის ეგზიტპოლის შედეგებზე დაყრდნობით მოგვახსენეს, რომელიც ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩატარდა, თბილისში მეორე ტური იქნება, კახა კალაძეს 43% აქვს, ნიკა მელიას – 39%, გიორგი გახარიას – 7%, ანა დოლიძეს – 4%, ანა ბიბილაშვილს – 2%, გიორგი ლომიას – 1%, რიჩარდ ოგბუნუჯუს – 1%-იო. სხვათა შორის, რეალობასთან ახლოს კეზერაშვილის კვლევა უფრო მივიდა, ვიდრე დანარჩენები. მაგალითად, გვარამიას, ანუ Iპსოს-ის მიერ, ტელეკომპანია „მთავარის“ დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგების მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ – 38, 6% მიიღო, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 33%, გიორგი გახარიამ – 7,6%. რასაკვირველია, ამათი დავთრების თანახმად, კახა კალაძემაც წააგო, ჯერ 35% დაუწერეს, მერე ცოტა აუწიეს, ნიკანორს 55%-ით გაამარჯვებინეს. მოკლედ, გვარამია იჯდა თავის „უბორნიაში“ და როგორც უნდოდა, ისე წერდა, შლიდა, წერდა და შლიდა. რა, ჭკუა დაუშლიდა თუ გონება?!







რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით, „გორბის“ მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლების შედეგებს: „ქართული ოცნება“ – 47,6%; „ნაციონალური მოძრაობა“ – 27,1%; „საქართველოსთვის“ – 6,8%. ესეც ახლოსაა რეალობასთან, თითქმის ზუსტად დასვეს. თუმცა კალაძისა და მელიას პროცენტები ვერ გაარტყეს: „გორბის“ მკვლევართა მტკიცებით, ნიკა მელიამ – 34.6 მიიღო, კახა კალაძემ – 51.3%; „რიჩარ ობუნუზუმ“ (ასე დაწერეს) – 0.6%, გიორგი გახარიამ – 5.6%.

რა არის ამ არჩევნებში აღმაშფოთებელი, რაზე უნდა აღვშფოთდე? დიახ, არის... მაგალითად, მე (და ალბათ თქვენც) არ ველოდი, რომ თბილისში მეორე ტური დაინიშნებოდა, ყველა გამოკითხვით (შინაურულით, „გარეულულით“) კახა კალაძე პირველივე ტურში იგებდა. ასე არ მოხდა, მიზეზზე დასაწყისში მოგახსენეთ. თუმცა აქ უნდა დავამატო, რომ გახარიას მაიმუნური ფაქტორის გარდა არსებობს უფრო სერიოზული პრობლემა – ღალატი და საბოტაჟი გარემოცვიდან, არაგუნდური მოთამაშეების არასერიოზული დამოკიდებულება. ამაზე ყურადღებას გავამახვილებ არჩევნების შემდეგ. ჩემი ღრმა რწმენით, თუ სიტუაცია შიგნიდან არ გაჯანსაღდა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ძალიან ცუდი მდგომარეობა შეიქმნება.

ალმაშფოთებელია კიდევ ის ფაქტი, რომ სრულიად საქართველოს მასშტაბით 20 ქალაქში უკვე დაინიშნა მეორე ტური. გასაოცარია ის ფაქტიც, რომ კახა კალაძეს უწევს ნიკანორ მელიასთან მეორე ტურში მონაწილეობა... რომ ბათუმში „ქართული ოცნების“ კანდიდატს უწევს იგივე, ქუთაისში „ქართულოცნებელ“ იოსებ ხახალეიშვილს უგებს სააკაშვილის ნარძლევი ხატია დეკანოიძე, რუსთავში ნინო ლაცაბიძეს უჭირს დავით კირკიტაძის დამარცხება და მართლა ჰოი, საოცრებავ, ფოთში, ასევე „ქართულოოცნებელი“ ბექა ვაჭარაძე მეორე ტურში უნდა შეერკინოს გიგი უგულავას, რომელიც ამჯერად „ნაციონალური მოძრაობის“ დროშის ქვეშ გამოდის.

აი, ამაზე კი მართლა უნდა ვიცინოთ, სამაგრელოს გულში, ქალაქ ზუგდიდში ნიკანორ მელიას მამას, ანზორ მელიას (სისულელეებით რომ გადარია მეგრელები) ხმას აძლევს მოსახლეობის 47%, ხოლო „ქართული ოცნების“ კანდიდატს – 40%. განსხვავება 7%-ია, ხედავთ? აკვირდებით? აზრზე ხართ, რა ხდება?!

ჩემი აზრით... და ეს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც დაადასტურა, „ქართული ოცნების“ კანდიდატები ოცივე ქალაქში მოიგებენ, ასევე საბურთალოზეც. სხვათა შორის, თბილისში მუნიციპალიტეტების დონეზე არჩევნები კარგად ჩატარდა, ათიდან ცხრაში „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო.

ვნახოთ, დაველოდოთ 30 ოქტომბერს, როცა მეორე ტურები გაიმართება და „ნაცმოძრაობა“ მაინც გაფარჩაკდება.

სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, გახარიას ე.წ. გუნდის წევრი კახა ქემოკლიძე გამოიყვანეს ტელევიზორში და იცით, რა თქვა? აი, ეს: „ჩვენი პარტია, არც „ნაციონალურ მოძრაობას“ და არც „ქართული ოცნებას“ მხარს არ დაუჭერს“.

ხედავთ? არა, ხომ ხედავთ, რა დონის მოღალატეები ჰყავდა „ქართულ ოცნებას“ უმაღლეს თანამდებობებზე?

ხედავთ, ხალხო?!

ამაზე შემდეგ!

კიდევ კარგად გაქაჩა „ქართულმა ოცნებამ“, კიდევ კარგად სულდგმულობს ამდენი ღალატის გადამკიდე საქართველო!

ბელა ზედელაშვილი
555 48 48 61






# დროა, ქართველებმა გავიხსენოთ, რომ რას მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია

*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА:*

**— ბატონო იგორ, თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება — 47% მოიპოვა. რაზე მეტყველებს შედეგები?**

— როგორც იცით, არჩევნებს ათასზე მეტი დამკვირვებელი ესწრებოდა. დასკვნა ასეთია: საქართველოში, თვითმმართველობის არჩევნები წინასთან შედარებით, მშვიდ ვითარებაში, მძიმე ექსცესების გარეშე ჩატარდა. არჩევნები შედგა. მას არავითარი კატაკლიზმები არ გამოუწვევია. 30 ოქტომბერს მეორე ტური გაიმართება. „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების დიდი ნაწილი გამარჯვებულია და უკვე მუშაობასაც შეუდგნენ. ამ შედეგებს, ველოდი. ვთქვი კიდეც: მეორე ტური, აუცილებლად, იქნება-მეთქი. პირდაპირ გეტყვით: ოპოზიციურ სივრცეში გახარიას შემოსვლამ მეორე ტურის აუცილებლობა განაპირობა, მათ შორის, თბილისშიც. გახარიას ფაქტორი რომ არა, თბილისში, სხვა ვითარება იქნებოდა — პირველივე







ტურში კახი კალაძე გაიმარჯვებდა. ასეა თუ ისე, სამი, ძირითადი, ძალა ჩამოყალიბდა: „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და „საქართველოსთვის“. აქედან, ერთი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის, ხოლო დანარჩენი ორი — ძალაუფლების მოსაპოვებლად. თბილისში ბევრი რამ გახარიას არჩევანზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი ერისთვის ყველა არჩევნები თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ არის მიმართული. საუბარია, რეალურ თავისუფლებაზე, რასაც ილიასეული ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს ჰქვია. აი, ეს არის მთავარი და ეს სურს ერს.

**— დამოუკიდებლობიდან 30 წელი გავიდა, თუმცა ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი შეფასება არ მისცემია.**

— დიახ, აუცილებელია ამის გაკეთება. ბევრი ნეგატიური მოვლენა მოხდა და ამაზე ახლა მაინც უნდა ვილაპარაკოთ: სახელმწიფო გადატრიალებები, ტერიტორიების დაკარგვა, ნეპოტიზმი, მეცნიერების, კულტურის, განათლების დასუსტება, დაკნინება და ა.შ. ვის დავაბრალოთ ყოველივე? ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, ხალხი რჩება. რამდენი ტყუილი დაპირება მოვისმინეთ. შევარდნაძე ამბობდა: საქართველოს ახალ შვეიცარიად გადავაქცევო. მერე, აფხაზეთში, ვითომ, ღირსეულად უნდა ჩაეტარებინა ოპერაცია, რაც საბოლოოდ, ომში გადაიზარდა. რა მოხდა? მთავარი მიზანი: პირველი — ზვიად გამსახურდიას მომხრეების თავის მხარეზე გადაყვანა, დამორჩილება იყო; მეორე — ავტონომიური რესპუბლიკა გაეუქმებინათ ან დაესუსტებინათ. იმ პერიოდის — 2 და 10 აგვისტოს სტენოგრამები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა მე, გეტყვით, რომ ერთი ნაწილი ზვიადისტების განადგურებას და ავტონომიის გაუქმებას უჭერდა მხარს. საბოლოოდ, შევარდნაძემ განკარგულება გასცა: გენერალურ შტაბს აფხაზეთში შესვლის გეგმა მოემზადებინა. 14 აგვისტოს ქართული ჯარი აფხაზეთში შევიდა. ამას შემთხვევით არ ვამბობ — დაპირისპირება აფხაზებთან და რუსებთან კი არა, ქართველებთან დავიწყეთ. დიახ, სწორედ აქედან იწყება სახელისუფლებო დაპირისპირება. ხელისუფლება იმ ძალებს დაუპირისპირდა, რომელიც მათთვის მისაღები არ იყო. ეს გახლდათ გამსახურდიას მომხრეები. შემდგომ, დაპირიპირება დაიწყო აფხაზებთანაც, რუსებთანაც. ეს ვითარება, ქვეყანაში, ახლაც გრძელდება. ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ მოსვლის შემდეგაც ასე იყო. ეს უნდა დამთავრდეს და ეროვნული შერიგების პროცესი დაიწყოს, ერი გაერთიანდეს, შემუშავდეს ქვეყნის განვითარების კონცეფცია.

**— სახელისუფლებო დაპირისპირებები როგორ ავიცილოთ, გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ. წესით, არსი მდგომარეობს შემდეგში: შეიქმნას კოალიციური მთავრობა. ვფიქრობ, ამ არჩევნების მერე, ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ახალი ეტაპი იწყება. ეს გახლავთ კოალიციური მმართველობა ისე როგორც ეს არის იტალიაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში. სხვა საკითხია, მისაღებია თუ არა საქართველოსთვის საპარლამენტო მოდელი. კერძოდ, მისი მენტალობისთვის, პოლიტიკური დონისთვის და ა.შ. ჩემი მოსაზრება, ამ კუთხით, შემდეგია: რა თქმა უნდა, საქართველო საპარლამენტო მმართველობისათვის მზად არ არის, მაგრამ ხომ უნდა ვცადოთ?

**— თავად, აღნიშნეთ: საქართველო საპარლამენტო მმართველობისთვის მზად არ არისო. კოალიციური მთავრობა ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი არ ამართლებს როგორიც იტალია და ისრაელია. ეს ქვეყნები მუდმივი არჩევნების რეჟიმში იმყოფებიან. ჩვენმა ქვეყანამ ამ ყველაფერს როგორ უნდა გაუძლოს? თანაც, როგორ წარმოგიდგენიათ 9-წლიანი რეჟიმის შემომქმედებთან ერთად კოალიციაში მუშაობა?**

— გეთანხმებით, ძალიან მართებული კითხვაა. ამაშია ჩვენი თავისებურება — აქ, ქართული პოლიტიკის, ზოგადად, პოლიტიკური კულტურის დაბალი დონეა. ჩვენ, არ გვინდა შევეგუოთ იმას, რომ გვერდით მშვიდობიანი მოწინააღმდეგე ანუ, ოპონენტი გვყავდეს, მაგრამ საპარლამენტო მოდელს, ახლა, ვერავინ შეცვლის. ამას, ახალი კონსტიტუცია და მიდგომები სჭირდება.

**— სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებაზე რას იტყვით?**

— ცხადია, პასუხი ყველას ვაგებინოთ. დავიწყოთ შევარდნაძის გასამართლებით. ევროპაში, გარდაცვლილების გასამართლება, მიღებულია. მაშ, გავასამართლოთ არა შეცდომებისთვის, არამედ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისთვის. კი ბატონო, გავასამართლოთ მიხეილ სააკაშვილი იმ შეცდომებისთვის, დანაშაულებისთვის, რაც ჩაიდინა.

**— ხალხმა 2012 წელს უარი უთხრა ნაცებს, მათი გასამართლება მოითხოვა და არა პოლიტიკაში ყოფნა.**

— დასაწყისშიც აღვნიშნე: საქართველოში 30 წლის მანძილზე განვითარებულ ნეგატიურ პროცესებს — სახელმწიფო გადატრიალებებს, წარმოებულ ომებს, ტერიტორიების დაკარგვას, პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს. დიახ, უნდა გამოძიებულ იქნას რატომ დაამხეს კანონიერი პრეზიდენტი, ხელისუფლება. კიდევ ვიტყვი: დაპირისპირებები, საზოგადოების დაყოფა, სწორედ, აქედან იწყება. აგერ, დაიჭირეს „ნაცმოძრაობის“ ლიდერი, ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი. რა თქმა უნდა, იგი უნდა გასამართლდეს. პინოჩეტი დიქტატორი იყო. თავის დროზე კი ჩილე ააყვავა, შემდეგ გაასამართლეს. კი ბატონო, გავასამართლოთ სააკაშვილი და ვთქვათ, სიმართლე. როგორც პროკურორმა თქვა: იგი რამდენიმე დანაშაულის გამო სამართლდება. მათ შორისაა, 7 ნოემბრის დარბევა, თანხების გაფლანგვა და ა.შ. ხშირად, გამოვიყენე შევარდნაძის მაგალითი, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მან სამეგრელო დაარბია, გაძარცვა. მეტი რა უნდა მომხდარიყო, ტერიტორიები დავკარგეთ, 300 ათასი კაცი დევნილი გახდა, ასობით ადამიანი დაიღუპა. შევარდნაძე სოროსმა მოიყვანა და მისი საშულებით გააძევეს. მიშაც სოროსმა მოიყვანა და გააძევა. ვიღაცის მიერ მოყვანილ ხელისუფლებებთან გვაქვს საქმე. მაგრამ მხოლოდ დასჯით და დაჭერით შორს ვერ წავალთ.

ამიტომ, პოლიტიკური, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი მართვის ახალი სისტემა უნდა შეიქმნას. პარლამენტში ღირსეულები, პროფესონალები შევიყვანოთ და არა 21 წლის ბავშვები, რომელთაც ამერიკაში ისწავლეს და იქედან, 15 სერტიფიკატი წამოიღეს. ამის მიხედვით ნუ ვანდობთ ქვეყნის ბედს. ასე, მსოფლიოში არცერთ ქვეყანაში არ ხდება. მაგალითად: აშშ-ში არ შეიძლება მოსამართლე ახალგაზრდა იყოს. იქ, კონგრესმენის, სენატორის და ა.შ. ასაკი დადგენილია. ასე ხომ არ შეიძლება, ვიღაცამ ამერიკაში, ევროპაში ისწავლა და თანამდებობაზე დავსვათ. არცერთ პოლიტიკურ პარტიას პროგრამა არ აქვს. არჩევნები მიდის კამათის ფონზე — ის ცუდია, იმან ის დააშავა და ა.შ. სად არის კონცეფცია? „ქართულ ოცნებას“ კონცეფცია ჰქონდა. ოპოზიციიდან წარმოადგინა ვინმემ? — არავინ!

გარდა ამისა, საქართველოში საკადრო პოლიტიკა არ არსებობს. განა, შეიძლება იმის გამო, რომ პირმა ათი ენა იცის ხელისუფლებაში წამყვან თანამდებობაზე დასვა? ენის ცოდნით განისაზღვრება პროფესიონალიზმი? როდემდე ვიყოთ ასე? კალაძემ ბევრი რამ გააკეთა, მასზე კარგის მეტს არაფერს ვამბობ. აქვე, ერთ ამბავს გავიხსენებ: ფოთის მერად ნიკო ნიკოლაძე იყრიდა კენჭს. მისი მეტოქე მეუნარგია გახლდათ. არჩევნები ნიკოლაძემ მოიგო. მან მოწინააღმდეგე მოიხმო და ვიცე-მერად მუშაობა შესთავაზა. ეს უნიკალური შემთხვევა გახლდათ. ეჰ, ნეტავ იმ საქართველოს. მან, მეტოქეს უთხრა: მე, ოპონენტი მჭირდება, რათა არ ჩამთვლიმოს, არ ჩამეძინოსო.

**— „ქართულმა ოცნებამ“ 43% გადალახა. ოპოზიციის მხრიდან, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა, ლეგიტიმურია?**

— ჯერ, წინ მეორე ტურია. ვნახოთ, რა იქნება. ზემოთ, კოალიციური მთავრობის შექმნაზე ვისაუბრე. რეალურად, ეს მოთხოვნა აშშ-დან, დასავლეთიდან მოდის. ეს მათი სურვილია. ისინი, ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის, გამოსავალს ამ ტიპის მმართველობაში ხედავენ. მათ საქართველოში დაძაბულობა არ აწყობთ. იმიტომ, რომ აშშ-ს აქ, 4 მილიარდზე მეტი აქვს დახარჯული. ეს არ არის სესხები. ავღანეთში ამერიკის როლი შესუსტდა. კავკასიაში იგივეს გამეორება არ აწყობთ. საქართველო, აზერბაიჯანისგან და სომხეთისგან განსხვავებით, ამერიკის პარტნიორია. შევარდნაძე და სააკაშვილი დასავლეთის ჭკუაზე დადიოდნენ. ბიძინა ივანიშვილი გახლავთ ის ადამიანი, რომელიც მათ ჭკუაზე არ დადის. ამისთვის მას დიდი მადლობა. მისი მმართველობის ეს სტილი მისაღებია — იგი დასავლეთს ყველაფერში არ ეთანხმება. მიშელის დოკუმენტის ანულირებაც ამის დასტურია. მადლობა „საერთო გაზეთს“, რომელმაც ამ თემის გარშემო საინტერესო პუბლიკაციები გამოაქვეყნა. მათ შორის, მეც გამოვთქვი ჩემი მოსაზრება. რედაქტორმა ვახტანგ ხარჩილავამ შესანიშნავი ანალიზი გააკეთა. „საერთო გაზეთის“ მეშვეობით მკითხველი სიმართლეს იგებს. სხვათა შორის, ძალიან ბევრი ადამიანი მირეკავს და იცით რას მეკითხება: რატომ არ გამოდის ესოდენ საინტერესო გაზეთი უფრო ხშირად, ყოველდღიურად. ეს მოთხოვნა იმიტომ გაჩნდა, რომ ანალიტიკურობის თვალსაზრისით, „საერთო გაზეთი“ უნიკალურია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, ვინ დავიჭირეთ და ვინ გვიზის რუსთავის ციხეში?

**ვახტანგ ხარჩილავა:**

მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს: ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, ვინ გვიზის რუსთავის მე-12 დაწესებულებაში — გიჟი, ქართული ფაშიზმის ფუძემდებელი, საერთაშორისო მასშტაბების ბოროტმოქმედი თუ ერთი რიგითი ნაძირალა და ავაზაკი?

რა განსხვავება და რა მსგავსებაა მწერალსა და მოსამართლეს შორის?

მოსამართლე ასამართლებს და იჭერს, მწერალი ასამართლებს და უშვებს.

აი, ეს შედარება გამახსენდა რატომღაც, სააკაშვილი რომ დაიჭირეს და ციხეში რომ მიაბრძანეს.

ცხრა წელია, მეც სხვებთან ერთად ვამბობდი, რომ სააკაშვილი დასაჭერია, მაგრამ ახლა, როცა დაიჭირეს, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა — ბრაზმა და აგრესიამ ამ კაცის მიმართ თითქოს ერთბაშად გამიარა და რაღაც უცნაური სიცარიელე დამეუფლა.

იმიტომ კი არ დამემართა ეს, რომ შემეცოდა და შემებრალა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მთელი ამ პროცესის აბსურდულობა დავინახე უცებ.

რამდენი წელიც არ უნდა ჩავსვათ სააკაშვილი ციხეში, მას იმდენი ცოდვა აწევს კისერზე და იმდენი უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი, სამაგიეროს მაინც ვერ გადავუხდით.

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, რამდენი წელიც არ უნდა მივუსაჯოთ სააკაშვილს, ეს მაინც არ იქნება იმ ბოროტების საპირწონე, რაც მას აქვს ჩადენილი.

●

ჩამთავრდება ეს არჩევნები, ვნებები დაცხრება და ქვეყანაში აუცილებლად დაიწყება დიდი დისკუსია და დებატები იმის შესახებ, თუ ვინ დავიჭირეთ ჩვენ და ვინ გვიზის ციხეში სააკაშვილის სახით?

თუ სასამართლოს იმ განაჩენებს დავეყრდნობით, რომლებიც საფუძვლად დაედო სააკაშვილის დაჭერას, ციხეში ზის ერთი ჩვეულებრივი, რიგითი დონის კრიმინალი და თაღლითი, რომლის მსგავსი უამრავი ყოფილა მსოფლიოში, მათ შორის მაღალი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეთა რიგებში, რომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის სააკაშვილის დანაშაული არაფრით არ არის გამორჩეული.

მართლაცდა, რამდენი შემთხვევა ვიცით, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოების პრეზიდენტები თუ პრემიერები დიდი რაოდენობის თანხებს იპარავდნენ ხაზინიდან, მფარველობდნენ დამნაშავეებს, სხვადასხვა ფორმით სჯიდნენ არასასურველ პირებს და ა. შ. და ა. შ.

სააკაშვილისთვის წარდგენილი ოფიციალური განაჩენის მიხედვით, ეს ასეა, მაგრამ რა ვუყოთ იმ წარმოუდგენელი მასშტაბების დანაშაულებს, რომლებიც სააკაშვილის „მეფობის“ დროს ქვეყანაში ხდებოდა და რომელთა ანალოგი 21-ე საუკუნის მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება.

ოფიციალური განაჩენის მიხედვით ციხეში ზის ერთი საშუალო კალიბრის ავაზაკი სააკაშვილი, ხოლო მეორე სააკაშვილი, მთავარი სააკაშვილი, რომელმაც შექმნა სისასტიკით, სადიზმით, მხეცური დაუნდობლობით გაჟღენთილი დანაშაულებრივი სისტემა, რომელმაც ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ათიათასობით ადამიანს ცხოვრება დაუნგრია, ჯერჯერობით ისევ გარეთაა.

სააკაშვილს ექვსი წელი აქვს მისჯილი, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც მიუსაჯეს ერთ ჩემს ნაცნობს, რომელმაც 500 ლარი ქრთამი აიღო სავაჭრო „ბუტკის“ აშენების ნებართვის გაცემაში, რომელიც, სხვათა შორის, არ აშენებულა.

ამან ნახევარი საქართველო დაანგრია, უამრავი ადამიანი ჩააწვინა მიწაში, ქვეყნის ტერიტორიის 20% ქარს გაატანა და მხოლოდ ექვსი წელი?

სასჯელია თუ წამახალისებელი სიგელი „სანიმუშო ყოფაქცევისთვის“?

●

ის სადისტური, მანიაკალური სისტემა, რომელიც სააკაშვილმა შექმნა და რომლითაც ქვეყანას





ცხრა წლის განმავლობაში მართავდა, წარმოუდგენელია ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანს შეექმნა.

მხოლოდ შეშლილს, გიჟს, სულით ავადმყოფს, ბოროტებით, ადამიანების მიმართ ზიზღით და სიძულვილით შეპყრობილ მანიაკს შეეძლო გამოეყენებინა ის არაადამიანური მეთოდები, რასაც სააკაშვილი იყენებდა ქვეყანაში „წესრიგის“ დასამყარებლად.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სააკაშვილს უმძიმესი ფსიქიკური პრობლემები აქვს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილი შეშლილია, პარანოიკია.

თუმცა რაღა ეჭვი, არსებობს მსოფლიოში ცნობილი შვიდი ფსიქიატრის დასკვნა, რომ სააკაშვილი შეურაცხადია.

რა გამოდის? ქვეყანას 9 წლის განმავლობაში გიჟი მართავდა, ახლა კი რუსთავის მე-12-ში გიჟი გვყავს გამომწყვდეული?

თუ ეს ასეა, მაშინ გიჟს რა უნდა ციხეში, გიჟი საგიჟეთში უნდა იყოს და არა ციხეში.

ხედავთ, რა ხდება? სააკაშვილი ოცდახუთ წელზე მეტია, პოლიტიკაშია და ჩვენ დანამდვილებით ისიც კი არ ვიცით, ნორმალურია თუ გიჟია ეს კაცი?

სამაგიეროდ, ეს ზუსტად იცის იმ ადამიანმა, ვინც სააკაშვილისგან პოლიტიკოსი, უფრო ზუსტად, პოლიტიკური ურჩხული, პოლიტიკური ზომბი შექმნა და ქვეყანას მიუსია.

მე თუ მკითხავთ, ვინც ეს გააკეთა, სწორედ ის კაცი უნდა იჯდეს ციხეში, სააკაშვილი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა იწვეს ფსიქიატრების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.



საწყალ მიშიკოს მსახიობობა და კინორეჟისორობა უნდოდა, ამან კი, ამ სასტიკმა და ულმობელმა კაცმა, მისგან კგბ-ის ოფიცერი გამოჩორკნა, თუმცა ამ მცდელობისგან მაინცდამაინც დიდი ვერაფერი შედეგები მიიღო — კგბ-დან პოლიტიკაში გადმოპორტირებული მიშა მაინც მსახიობად და კინორეჟისორად დარჩა, რომელმაც საშინელებათა უამრავი ფილმი დადგა პოლიტიკაში და უამრავი როლი მოირგო — გმირის, მასხრის, აღმშენებლის, დამანგრევლის, ლაჩრის, სუპერმენის.

ვინც მსახიობობაზე და კინორეჟისორობაზე მეოცნებე მიშიკოსგან პოლიტიკოსი „გამოძერწა“, ეს კაცი სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანიაა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რას წარმოადგენდა მისი დისშვილი, იცოდა, რომ ასეთი ადამიანისთვის პოლიტიკაში ყოფნა და მისთვის ძალაუფლების მიცემა უაღრესად სახიფათო და საშიში იყო როგორც მისთვის, ასევე იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ის პოლიტიკოსად უნდა მოვლინებოდა, მაგრამ მაინც უკან არ დაიხია და იმდენი ქნა, ეს ნახევრად შეშლილი დისშვილი საქართველოს პრეზიდენტად დაასვა თავზე, რომელმაც მოკლე ხანში სისხლის ტბები დააყენა ქვეყანაში.

რუსული სპეცსამსახურების საიდუმლო ლაბორატორიებში სისხლგამოცვლილ და გადაგვარებულ თემურ ალასანიას საქართველო რომ არ ყვარებოდა, რა გასაკვირია, მაგრამ როგორ გაიმეტა მან საკუთარი სისხლი და ხორცი, საკუთარი დისშვილი, ეს სულით ავადმყოფი კაცი, ისეთი სახიფათო და სარისკო საქმისთვის, როგორიც პოლიტიკაა.

ვფიქრობ, თემურ ალასანიამ იმოქმედა უკიდურესად ეგოისტური ინტერესებით და დისშვილის სახით შექმნა პირადი პოლიტიკური ზომბი, რომელიც მის ნებისმიერ მითითებას უსიტყვოდ შეასრულებდა და ფულზე დახარბებულ ბიძას მომავალში მილიონებს მოუტანდა.

ასეც მოხდა — დისშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბიძამ და დისშვილმა მილიონები, მილიონები კი არა, მილიარდები აკეთებს საქართველოს გაუბედურების ხარჯზე და ისედაც გატყავებულ ქვეყანას დამატებით ცხრა პირი ტყავი გააძვრეს.

არც ბიძას და არც დისშვილს საქართველო არასდროს მიაჩნდათ სამშობლოდ, მათთვის ის ყოველთვის იყო ფულის საჭრელი საამქრო, აღებ-მიცემობის საგანი, სარფიანად გასაყიდი საქონელი.

ჰოდა, ყიდეს ეს „საქონელი“ ბიძამ და დისშვილმა, ჭრეს და ჭრეს მილიონები, ყველა სერიოზულ ბიზნესში წილი დაიდეს, საიდანაც დღემდე მისდით დივიდენდები.

შედეგი: დისშვილი ციხეში ზის, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, სინამდვილეში, ბიძამისმა ჩასვა და მაშინ გამოუწერა ციხის საგზური, როცა ამ შეშლილს პოლიტიკაში უკრა თავი.

ახლა ბიძამისი ყველაფერს გააკეთებს, ცას და მიწას შეძრავს, რომ პატიმრობაში მყოფი დისშვილი დროზე გამოაგდონ ციხიდან.

მან იცის, რომ მისი დისშვილი ციხისთვის უვარგისი კაცია და შეიძლება ძალიან მალე პირი მოაღოს და ყველაფერი დაფქვას და მათ შორის, არც ბიძა დაინდოს.

ბიძას კი არა, თუ დასჭირდა, სააკაშვილი არც დედას დაინდობს, არც მამას, არც — ძმებს, არც — თანამებრძოლებს, არც თავის უცხოელ მეგობრებს და პარტნიორებს, ყველას ჩაუშვებს, ყველას გასწირავს, ოღონდ ციხეს დააღწიოს თავი.

ჰოდა, დროზე მიეცით ამ კაცს ბევრი ქაღალდი და საწერ-კალამი და როცა წერას მორჩება, საგიჟეთში გადაიყვანეთ, მის ადგილას კი ბიძამისი ჩასვით.

●

როგორც გითხარით, მეც იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც წლებია, აცხადებენ, რომ სააკაშვილის ადგილი ციხეშია.

სააკაშვილი უკვე ციხეშია, მაგრამ ამის გამო სულაც არ ვგრძნობ თავს ბედნიერად.

ახლა უკვე იმაზე ვდარდობ, რომ დავიჭირეთ, აწი რა ვუყოთ ამ პოლიტიკურ ცხოველს, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩავწეროთ მსოფლიოს უდიდეს ბოროტმოქმედთა სიაში.

იმაზეც ვფიქრობ, იქნებ, მართლაც გიჟია ეს უბედური?

თუ გიჟია, იმ ჭკვიანებს არ უნდა მოეთხოვოთ პასუხი, ამ გიჟს რომ აგულიანებდნენ და ხან აღმაშენებელს ეძახდნენ, ხან ჯორჯ ვაშინგტონს და მის ზურგს ამოფარებულნი თავიანთ შავ-ბნელ საქმეებს რომ აკვარახჭინებდნენ?

ამ გიჟის დაჭერა და გასამართლება რას გვიშველის, თუ მასთან ერთად არ გასამართლდება ის სადისტური სისტემა, რომელიც ამ გიჟმა შექმნა და ქართველ ხალხს ამდენი საშინელება დაატეხა თავს.

90 წელი გავიდა გერმანული ფაშიზმის დაფუძნების მომენტიდან და გერმანელს დღეს რომ გერმანულ ფაშიზმზე ჩამოუგდო სიტყვა, უტაქტობად ჩაგითვლის, შეურაცხყოფად მიიღებს.

გერმანელს დღემდე რცხვენია მისი წინაპრების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გამო.

„ნაცმოძრაობის“, ანუ ქართული ფაშიზმის მხარდამჭერ ქართველს რატომ არ რცხვენია ქართული ფაშიზმის გამო, თავმომწონედ რომ იძახის, ნაცი ვარ მეო და ხატების გვერდით თავისი საყვარელი ფიურერის, მიშას, გადიდებული სურათი რომ უკიდია?

მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს: ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, ვინ გვიზის რუსთავის ციხეში — გიჟი, ქართული ფაშიზმის ფუძემდებელი, საერთაშორისო მასშტაბების ბოროტმოქმედი თუ რიგითი ნაძირალა და ავაზაკი, რომელსაც იმდენივე აქვს მისჯილი, რაც 500 ლარის ქრთამის ამღებ ნოდარას „ნახალოვკიდან“.

# უმიწაწყლო

## დოკუმენტური ნოველა

სარფის მოსადგომებთან დაბანაკდა, იქითა სარფის მისადგომებთან, თურქეთის მხრიდან. დაბანაკდა რა, ერთი ზურგჩანთა წამოიღო კიევიდან, სადაც სამი ცალი „ტრუსიკი" და ერთი „რეიტუზი" უდევს, კბილების სახეხი „ჩოთქიც" კი დაავიწყდა. გამომყოლმა დააბნია, ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდება, საზღვარზე ჩემი ძმაკაცები შეიცვლებიან, მერე ვეღარ გადავალთო. ძველი „ვილისით" ძლივს ჩამოაღწიეს. საქულამ (ასე ჰქვია შოფერს) აქამდე მოაცილა, ფული ჩაიჯიბა, მანქანა ამოქოქა, ღმუუუუუუო და... ეგრევე გაუჩინარდა, შეეშინდა, ემანდ ხელი არავინ მტაცოსო.

მდინარე ტობაშის ნაპირამდე ასიოდე მეტრი თუ იქნებოდა. მთელი



საღამო ჟინჟღლავდა. მიხო ეულად მდგარ ხესთან მიჩოჩდა, ჩანთა კუნწუხზე მიაგდო, მიმოიხედა, გარემო მოათვალიერა, გულის ამოსკვნით ამოიოხრა და მიმოფანტული ჩხრიმლების მოგროვება დაიწყო. ჯიბიდან ასანთი ამოიღო, დანესტილიყო, იწვალა, როგორც იქნა, წაუკიდა. ცეცხლი აბრიალდა, იქაურობა განათდა. სამშობლოს მხრიდან სიომ დაუბერა, ამ სიოს სულ სხვანაირი სურნელი მოჰქონდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ბათუმიდან უბერავდა. როგორ მიხვდა? ჰმ... ის ხომ ეგეთ რაღაცებში პროფესიონალია? სიოს რამოდენიმეჯერ ხინკლისა და სუშის სუნიც შემოჰყვა. მიხომ ნაბოტოქსარი, უკვე მოდღლეზილი ტუჩები გააწკლაპუნა, კაი გვარიანად მოშივნოდა. უნდა მოითმინოს, ხვალ ბათუმში იქნება, ჩვეულებისამებრ დანაყრდება და გაძღება კიდევაც. საერთოდ, ძღომა ძალიან დიდი სიამოვნებაა, ადამიანი ძღომისთვისაა გაჩენილი, – გაიფიქრა გულის კუნჭულში. ხის ქვეშ ერთი მონაკვეთი მშრალი დარჩენილიყო, წვიმას ჯერაც ვერ ჩაეღწია იქამდე. მიხო წამოწვა, მარჯვენა ხელი ყურთბალიშად ამოიდო და ფიქრებში ჩაიძირა. ადრე ასე კარგად არ ესმოდა გიორგი სააკაძისა, ის კი არა, ზოგჯერ ამტყუნებდა კიდევაც, ამხელა გავლენის კაცი როგორ და რანაირად უნდა გაქცეულიყო სამშობლოდან? ახლა ესმის. თურმე ყველაფერი შეიძლება დაგემართოს ადამიანს, არ აქვს მნიშვნელობა, აღმაშენებელი ხარ, მხედართმთავარი თუ დიდი სარდალი. თვითონ ერთიც არის, მეორეც, მესამეც, მაგრამ მერე? ხომ დეემართა ფარცაგი რამე? არაუშავს, ყველაფერს აქვს „სამზღვარი", მალე მის ქუჩაზეც გამოზაფხულდება, ამოვა მზეი და განათდება. სანამ მზია ბაბო ცოცხალი იყო და რესტორან „წისქვილის" წილში იჯდა, ეგრე არ უჭირდა, ის სუ არიგებდა, აღებული „რაზგონიდან" არ გადაუხვიოო. არც უხვევდა, აეგრე მიდიოდა და მიდიოდა დოსტოღრივ. ამ სიტყვის მნიშვნელობა ადრე არ იცოდა, კახეთში უთხრა ერთმა პაპამ და იგრე მეეწონა, მეტი არ იქნება, გადაირია. „დოსტოღრივ" ნიშნავს პირდაპირს, შარაგზაზე რო გახვალ და გაუბერამ.

მზია ბაბომ ანდერძად დაუტოვა, შვილო, შე ვირიშვილო, თუ ერთხელ გაუბერე, აღარ უნდა გაჩერდე, მთელი ცხოვრება უნდა უბეროვო.

ტელეფონმა გაიწკარუნ-გამოიწკურუნა, დახედა, გეელიმა, „ძირმაგარა" ურეკავდა.

– ჰო, მურმან, მე უკვე აქ ვარ, აქეთა სარფში.

– მოგესალმებით, ამხანაგო პრეზიდენტო!

– კაი, არ გინდა ეხლა იმნაირობა, ბათუმში როდის გადამიყვანთ?

– მე იღლიაში ძირმაგარა გამომივიდა, ბუასილიც მაწუხებს, ჯელალ ქიქავას დავურეკავ და მოგაკითხავს, ვარშალომიძემ რაო, ვერაო? – დაინტერესდა მურმანი.

– ვარშალომიძე არ უნდა გავრიო ამ საქმეში, მეტყევეები ეგრევე იცნობენ. ჯელალს დაურეკე, თან გააფრთხილე, ფარულად მომაკითხოს, ცხენივით რო იცის ჭიხვინი, არ იჭიხვინოს.

– გავაფრთხილებ, გრიქულ ოღრაშიძეც მოგაკითხავს თავისი „ვოლგით".

– ჰო, ოღრაშიძე სანდოა, ჩვენი კაცია.

– სანდო კი არა, უსანდოესია, ამხანაგო პრეზიდენტო. ესე იგი, თქვენ იმ ხესთან ხართ, სადაც გითხარით?

– რა თქმა უნდა, ქვემოთა ტოტზე ფოთლები დავითვალე, ზუსტად 243 ცალი გამოვიდა, როგორც მითხარი, – ისევ ამოიხვნეშა მიხომ.

– ჰო, ხვალ დილით წამოგიყვანთ და ერთად ვიგულაოთ ბულვარში, ჩემი ღრმა რწმენით, ესენი დაპატიმრებას ვერ გაგიბედავენ, თქვენ ხართ უძლეველი პიროვნება არა მხოლოდ ამ რეგიონში, მთელ მსოფლიოში, მარჯვენა იღლიაში ძირმაგარა გამამივიდეს, თუ ვტყუოდე! – გახურდა მურმანი.

– მაიცა, თუ ბუასილი გაწუხებს, ბულვარში რანაირად უნდა ვიგულაოთ?

– შორიახლოდან გიყურებთ, თქვენ იგულავებთ, მე კიდევ დავტკბები, წლებია, რაც არ მინახავხართ.

– გენატრებოდი, ძირმაგარ... უი, მურმან? – ენაზე იკბინა მიხომ.

– ძალიან, ჩემო პრეზიდენტო, ფეხებშუა ძირმაგარა გამამივიდეს, თუ ვტყუოდე.

მიხომ ტელეფონი გათიშა. შეამცივნა. ცეცხლიც ნელ-ნელა მინავლდა. პალტო უნდა წამოეღო, არ ინდომა. ლიზამ კი უთხრა, ჩაგიდებო, მაგრამ უარი უთხრა, ეგონა, სარფს გაღმა 100 ათასი მოწამე ქართველი დახვდებოდა და თბილი ტანისამოსიც არ იქნებოდა პრობლემა. მიხო გაოგნდა, არავინ გამოვიდა, თავი არავინ შეიწუხა. არადა, ეგონა, კოლონებით გადაიჭედებოდა საქართველოს გზები და გზაჯვარედინები. ტანში გააჟრჟოლა, ეხლა ერთ ჭიქა ცხელ ჩაიზე მთელ სამეფოს გაცვლიდა. ჰმ... ჩაეცინა, სადღა აქვს სამეფო, რა უნდა გაცვალოს? ლიზამ უთხრა, მეც წამიყვანე, ჩაის თუ არა, ბალბას მაინც მოგიდუღებო. მტკიცე უარი სტკიცა, საქართველოში ბალბის მომდუღებლის მეტი ვინ მყავსო? ლიზა მიხოს ახალი ცოლია, 30 წლისაა, პოლიტიკოსი, უკრაინის მმართველი პარტიის, „ხალხის მსახურის" წევრია. ოქსფორდის სკოლის საჯარო პოლიტიკის მაგისტრატურაში სწავლობს. მართალია, თაფლაობა ცოტა ხელს უშლის და მიხოც მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ ყველაფერი ახალი კარგია. ეს ჯერ კიდევ ბერძენმა ფილოსოფოსებმა თქვეს ეგეოსის ზღვის სანაპიროზე. მიხოს ჩაეძინა, მისი ხვრინვა რაღაც განსაკუთრებულ მელოდიურობას სძენდა ირგვლივ გამეფებულ წკვარამს.

●

მიხო აქეთა სარფში ხოხიალით გადმოიყვანეს. არა, თვითონ მოინდომა ასე, შეიძლება რუსებმა დაგვბომბონ, თავს ვიცავო, ერთი კაცი ზემოდან თუ დამაწვება, კარგი იქნებაო. სულ ორნი იყვნენ, ერთი



მძღოლი თავის ნაცრისფერი „ვოლგით" და მეორე კიდე ისა... ვინაობის გამხელა დაუშვებელია, დაიჭერენ. ის დააწვა ზემოდან. თან არწმუნებდა, ნუ გეშინიათ, ამხანაგო პრეზიდენტო, თურქეთ-საქართველოს საზღვარზე ვართ, აქ რუსებს რა უნდათო? ჰმ... რას მასწავლი, რუსები სად არიან და როგორ არიან, ჩემზე უკეთესად იციო? გამყოლი კი არა და... დამწოლი გაჩუმდა, გულის კუნჭულში გაიფიქრა, ამასთან ლაპარაკიც არ შეიძლება, ამ ჩემისასთანო.

ახლებურმა ბათუმმა აღაფრთოვანა, ერთი-ორჯერ გადმოხტომა დააპირა, მაგრამ „მანქნის" კარი თოკით გადაურაზეს.

– მართლა მაგარი რაღაცები გაკეთებულა, მაგრამ ჩემი დაწყებული იყო, მე უფრო მაგრად გავაკეთებდი, – აჭყლოპინდა მიხო.

– რას ამბობთ, ამხანაგო პრეზიდენტო, თქვენ დროს რო კეთდებოდა, იმას მაინც სულ სხვა ეშხი ჰქონდა! – მიუგო იმან.

– ეხლა არჩევნებს ჩავატარებთ, ბიძინას დავამარცხებთ და ისევ გაგრძელდება აღმშენებლობა, ააააააღღღყყყყყყყ! – გადაიკისკისა მიხომ.

– ხნუ, ხნუ, ხნუუუუუუ! – გადაიხარხარა იმანაც.

– მაიცა, გააჩერეთ, ლაივში უნდა ჩევერთოო, – ატყდა მიხო.

– ეგ რაღაა, ამხანაგო პრეზიდენტო? – მოუტრიალდა შოფერი.

– ეეეხხყ, ხედავთ, როგორი ჩამორჩენილები ხართ ბიძინა ივანიშვილის ხელში?

– ჩამორჩენილები კი არა, საშინელ დღეში ვართ, პირდაპირ ვგმინავთ ივანიშვილის უღელში! – აწუწუნდა ის.

– მერე?! – შეჰკივლა მიხომ.

– თქვენი იმედი გვაქვს, ამხანაგო პრეზიდენტო, თქვენ ვერ დაგიჭერენ, ვერ გაბედავენ! – შესძახა იმან.

– აააააახხხხყყყყ... ვინ უნდა დამიჭიროს, ივანიშვილმა? სად აქვს მაგისი თავი? მე ყველგან ვარ, ბათუმშიც, ქუთაისშიც, თბილისშიც, ყვარელშიც!

მოსაღამოვდა, ისევ აცივდა. შოფერმა და იმან კაპოტზე „კალბასი" დაჭრეს, ბერძნულ ყაიდაზე გამომცხვარი პური ატეხეს, საიდანღაც არყის „რუმკები" გამოაძვრინეს და 800-გრამიანი „სტალიჩნიც" დადგეს.

– თქვენ ჩამოსვლასა და ჩვენ დახვედრას გოუმარჯოს, ამხანაგო პრეზიდენტო, – წარმოთქვა იმან.

– მეგონა, დახვედრა უფრო გრანდიოზული იქნებოდა, – ჩაილაპარაკა მიხომ და „რუმკა" ერთ ყლუპად გამოცალა.

– უნდა გაგვიგოთ, ჩვენ ყოფას გაგებით უნდა მოეკიდოთ, ძალიან მძიმე დროა, გვითვალთვალებენ, გვისმენენ, დაგვდევენ, გვაშინებენ, გვაშანტაჟებენ, გვცემენ, გვაწამებენ, დედებს გვიტყნავენ... არადა ოჯახები გვყამს, ეგრე ხო არ არი?! – წამოუჭარხლდა სახე შოფერს.

იმან თვალები დაუბრიალა, შენ რეებსა ჰბოდამო? შოფერმა თავი ჩაჰკიდა, ქვემოდან დაიწყო ყურება, სახე მოეღრიცა, ქვადარტყმულს დეემსგავსა.

– ეხლა, ამხანაგო პრეზიდენტო, იმ კუნწუხიდან „მარშრუტკა" ჩამაივლის, ჭუჭუ ღურწკაიას კარტოფილი მიაქვს ხოლმე თბილისში, ნავთლუღის ბაზარში, იქამდე მიგიყვანთ, მერე კიდენა თქვენ იცით... იმედია, უმფროსი რო გახდებით, დაგვიფასებთ ამაგსა და გარჯასა.

მიხოს არ ესიამოვნა ეგეთი დამოკიდებულება, ეგეთმა ბუმბერაზმა, სახელმწიფოს დამაარსებელმა კარტოფილის „მეშოკებში" გაჩხერილმა უნდა იმგზავროს? თუმცა ხმა არ ამოუღია, ბოღმა გულში ჩაიტრიალა.

ჭუჭუ ღურწკაია სიტყვაძუნწი ადამიანი აღმოჩნდა. მიხოსთვის არც კი შეუხედავს, ძველი „ფორდი" „პროვოდების" ერთმანეთზე მიდებით დაქოქა და ღმუუუუუუუ... გეზი თბილისისკენ აიღო. მიხოს სახე არ გამოუჩენია, თავზე „კაპიშონი" წამოიხურა და კარტოფილის „მეშოკზე" მიდო. ამ დროს ლიზამ დარეკა, ამან უხალისოდ დახედა ტელეფონს, ჯერ არ უნდოდა ლაპარაკი, არ იცოდა, რა უნდა ეთქვა, ხომ არ გაუმხელდა, ჩემ სამშობლოში არავინ დამხვდაო? თუმცა „იესს" თითი მაინც დააჭირა.

– როგორ ხარ, საკვარელო, თბილისში ხარ უკვე? – გაისმა იქიდან, უკრაინიდან.

– ჯერ არა, მალე ვიქნები, მოსახლეობა რუსთაველის გამზირზე მელოდება, რეგიონებიდან კოლონები თბილისისკენ მოემართებიან, ასი ათასობით ადამიანი დგას ჩემს გვერდით, ივანიშვილი გაქცეულია, ღარიბაშვილი აქ აღარ არი, დანარჩენებიც გარბიან! – ჩამორაკრაკა მიხომ.

– გილოცავ, საკვარელო... ბაკაკო წყალში კიკინებს?

– ჯერ არა, ბაყაყმა ჯერ არ იცის.

– ცოტა ხანში „ფაცებუკზე" ვიდეოს დავდებ, შენ რო ლაპარაკობ ახალ ოჯახზე! – განაცხადა უპრინციპულად ლიზამ.



— ააააჰხყყყყ... ჯერ არა! — ამოიგმინა მიხომ.

ბაყაყში სანდრას გულისხმობდნენ, მიხოს ცოლსა, ამდენი შვილების დედასა, ქართველების უმანკო რძალსა, მეგრული სიმღერების უბადლო შემსრულებელსა, ამჯერად კი ქმრისგან უარყოფილსა. სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელიცო, გაიფიქრა ამხანაგმა ყოფილმა პრეზიდენტმა.

●

ჭუჭუ ღურწკაიამ მუჯლუგუნით გაალვიძა მიხო, ისევ არ შეუხედავს, მუქთ კლიენტებს ეგრე ცივად ეპყრობოდა ხოლმე. ამაზე უთხრეს, მერე გადაგიხდის, როცა პრეზიდენტი გახდებაო, ერთხელ უკვე იყოვო. იყო არა, ჩემი ფეხებიო, გაიფიქრა ჭუჭუმ და სიჩქარე „დ“-ში გადართო.

მიხოს ნავთლუღში ტიპი დახვდა, იგეთი შავი იყო, ბუხრიდან წიხლით ჩამოგდებულსა ჰგავდა. მე იმან გამომაგზავნა, გოგია ვარ ჩუტრუკიშვილიო, შეიძლება ვერ გამიხსენოთ, ერთხელ თქვენი ვენახი თავში შავხვდით ერთმანეთსაო... ეგე, მთა მთაი ვერა, თორემა კაცი კაცსა ყოველთვის შაჰხედებაო. ჰო, გამახსენდიო, მიუგო, ვითომ მართლა გაახსენდა. ეხლა, ამხანაგო ნაპრეზიდანტალო, როგორც დამავალეი, სანზონაში უნდა წაგიყვანოვო. რას ამბობ, ბატონო ჩუტრუკიშვილო, სანზონაში ცოტა იგეთი ხალხი ცხოვრობს, სხვანაირი გაგებისა, იქ რა მინდაო? მომკლავენ, შენ გიჟი ხომ არა ხარო?!

ჩუტრუკიშვილმა დაამშვიდა, მთელი სანზონა ხელში მიჭირავსო, ნუ გეშინია, ბიჭები ცივ ნიავს არ მოგაკარებენო. გაჰყვა. სანაპიროზე გავლისას გული აუფანცქალდა, ლამის ამოუხტა საგულედან. ერთ ხანობას მტკვარში გადახტომაც მოუნდა, მაგრამ ჩუტრუკიშვილმა დაიჭირა. განა თავის მოკვლას ვაპირებო? შეჰღაღადა მიხეილმა. მანამდე ორთაჭალაში მთლად გადაირია, სისხლმა ყივილი დაუწყო, „ვონცეს, ტოოოოვო“, აღმოხდა უნებლიედ.

სანზონაში რომ მოვიდნენ, უკვე საკმაოდ ბნელოდა. რომელიღაც ორღობეში გადაუხვიეს, ჩუტრუკიშვილმა გადაულაპარაკა, ქვიშხეთის ქუჩაზე ვიმყოფებით, იგეთ სახლში იცხოვრებთ, ისრაელის დაზვერვაც კი ვეღარ მოგაგნებთო. მეორე სართულზე ავიდნენ, მიმყოლმა კარი წიხლით გააღო, ჩუტრუკებმა რომ იციან ხოლმე, ისე. ბინა ვიწრო იყო, მაგრამ მიხოს ფეხებზე ეკიდა, რაში აინტერესებდა? რკინის საწოლზე აყირავდა, გეგონება ზღვის სანაპიროზეაო. ცოტა ხანში ვიღაცა მოვიდა, ცელოფნის პარკით ორი ცალი პომიდორი, ერთი თავი ხახვი, ერთი კიტრი და ერთიც 25-სანტიმეტრიანი „კალბასი“ მოიტანა. ჰო, კიდევ პურიც მოეყოლებინა. მიხოს ძალიან მოშივნოდა. ჭამა, ჭამა და ჭამა, კიტრის ნაფცქვენებიც არ დაუტოვებია. იფ, იფ, მშობლიურ ნაფცქვენებს სულ სხვა სურნელება დაჰკრამსო.

გადაღლილს ეგრევე ჩაეძინა.

დილით კარზე კაკუნი გაისმა. არც უკითხავს, ვინ ხართო, ისევ ჩუტრუკიშვილი ეგონა. გააღო. ზღურბლზე ორი პოლიციელი იდგა, ერთი იღიმოდა, მეორე იბღვიროდა. საერთოდ ეგრეა ხოლმე, პოლიციის ნებისმიერ ეკიპაჟში ერთი კეთილი და სათნოა, მეორე ბოროტი და ნერვიული. როცა ნერვიული აჰიპიშდება, კეთილი აწყნარებს, ანუ აბალანსებს. აქაც ეგრე მოხდა. კუშტმა პოლიციელმა უთხრა, შენ თვითონ დაიდებ ბორკილებს თუ წიხლქვეშ გაგიგდო და მე თვითონ დაგადოვო? კეთილმა, მაიცა, ეგრე არ შეიძლება, ადრე ეს პრეზიდენტიც კი იყოვო. ამან, ამ ნერვიულმა, მკიდიაო.



მიხეილს ბორკილები კეთილმა დაადო. რუსთავში წაიყვანეს. მანქანიდან რომ გადმოსვეს, ყინულზე წაქცეული სახედარივით იკრიჭებოდა. ავმა ენებმა თქვეს, კაიფში იყოვო. რა თქმა უნდა, კაიფში იყო, ფხიზელს აქ რა ჩამოიყვანდა?

გიული ბაბომ თქვა, კიევიდან ერთად უნდა გამოვფრენილიყავითო. თუმცა მოვიხედე და აორთქლდაო, კიდე მოვიხედე და უკვე საქართველოში დადიოდა უჩინმაჩინის ქუდითო.

●

მორჩა კინო. ამის შემდეგ დაიწყებს ხვეწნას, ოღონდ გამამიშვით და ყველაფერზე თანახმა გახლავართო. წერილსაც დაწერს ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე — მოდი, შევრიგდეთ, ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყოთო.

არ დაუჯერებენ. არც უნდა დაუჯერონ, ეგ ხომ უმიწაწყლო თაღლითია?

დიახ, თანაც საშიში თაღლითი.

ეს ნოველა ფაქტებზე დაყრდნობით დავწერე. ზუსტად ასე შემოიპარა, როგორც მოგახსენეთ. კიევიდან რომ წამოწანწალდა და ამ ქვეყანაში შემოწანწალდა, ქართულმა სპეცსამსახურებმა ამის თაობაზე ყველაფერი იცოდნენ. ჰოდა, რომ იცოდნენ, ამიტომაც ზის მიხო ციხეში.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# უზნეოთა ზეობა, ანუ დამსხვრეული მორალი

## მითხარით, როგორ შეიძლება, ზვიად გამსახურდია დაკრძალული იყოს მთაწმინდაზე და ჯაბა იოსელიანი დაკრძალული იყოს დიდუბის პანთეონში?!

გული მტკივა. ჩემს ქვეყანაში, რომელიც ყველაფრით უნიკალურია (წყალი, მიწა, ტყე, ღრე, ჰაერი) მორალი ჯერ დაიმსხვრა, შემდეგ კი საერთოდ დაიკარგა.

რა არის მორალი, რატომ უნდა დამსხვრეულიყო და გამქრალიყო? მე უამრავი მიზეზის ჩამოთვლა შემიძლია, მაგრამ არ მინდა, ამ წერილს გეზი იქით მივცე, რაც ჩემზე უკეთესად იცით... მაგალითად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, სწავლული ინტელიგენციის ამოწყვეტა, ზვიად გამსახურდიას გაძევება და ასევე მკვლელობა... არა, ამჯერად ამაზე არ ვაპირებ.

თუმცა!

ერთი რამ დიდ გამოცანად რჩება ჩემში, უკვე ამხელა გამოცდილების კაცი ვარ და ვერ ამოვხსენი: როგორ შეიძლება, ნორმალურ სახელმწიფოში დიდი პატივით დაკრძალონ გმირიც და მოღალატეც?

დიახ!

მითხარით, როგორ შეიძლება, ზვიად გამსახურდია დაკრძალული იყოს მთაწმინდაზე და ჯაბა იოსელიანი დაკრძალული იყოს დიდუბის პანთეონში?!

მთაწმინდაზე გენიოსებთან ერთად სამშობლოს გამყიდველებიც წვანან. ალბათ დიდუბეშიც.

აი, ვინც ეს გააკეთა, მან საბოლოოდ დაამსხვრია ჩემს ქვეყანაში მორალი.

რას ნიშნავს ეს სიტყვა, რატომ ავიკვიატე? თურმე ლათინური წარმოშობისა ყოფილა (მორალის) და ნიშნავს ზნეობას. თანამედროვე იდიოტური გაგებით, მორალი გახლავთ ერთ-ერთი საზოგადოებრივი რეგულაცია. მხოლოდ რეგულაცია, მეტი არაფერი, არც სინდისი, არც ნამუსი, არც თავმოყვარეობა, არც ურთიერთპატივისცემა.

მოდით, განმარტებებსა და წარსულში ჩადენილ ცოდვებს შევეშვათ, დღევანდელობას შევხედოთ, რა ხდება ჩვენს გარშემო, რანაირად ცხოვრობენ ადამიანები მორალისა და ზნეობის გარეშე? იქნებ ასე უფრო იოლია ცხოვრება?!

### ჩათლახ გუბაზის კიდევ ერთი ჩათლახობანი!

გუბაზ სანიკიძე: „იცით, ბიძინა როგორი კაცია? ვინმეზე რამეს თუ გკითხავს და შენ კარგს ეტყვი, არ



მოსწონს, შენ სხვაზე აუცილებლად ცუდი უნდა ილაპარაკო“.

„ტვ პირველი“, 15 სექტემბერი.

●

გუბაზ, სამწუხაროდ, ოდესღაც (2012 წლამდე) კაცი მეგონე. ჩათლახი რომ ყოფილხარ, მაშინ მივხვდი, შენი ფარული ჩანაწერი რომ გამოქვეყნდა ალბინოსების თაობაზე. მას შემდეგ ვეღარ გაიზარდე, ისევ იმ ჩათლახად დარჩი, რაც იყავი!

გუბაზ, შენ ცრუობ!

როდესაც ბიძინა ივანიშვილს ვეუბნებოდი, „რესპუბლიკელები“ უჯიშოები არიან, გიღალატებენმეთქი, ის კარგს ლაპარაკობდა. აქეთ მსაყვედურობდა, რას ერჩი, განათლებული ხალხიაო.

კობა დავითაშვილზე მითხრა, ძალიან მომწონს, პირდაპირი ბიჭია, კაბინეტში შემომივარდება ხოლმე და მეძახის, შენ მაინც არა ხარ კაი კაცი, ადრე „ნაციონალებს“ აფინანსებდიო.

მაშინ ბატონმა ბიძინამ მეც ამიხსნა, „ნაციონალებს“ კი არა, სახელმწიფოს ვაფინანსებდი, ბიუჯეტი ცარიელი იყოო.

ნოდარ ხადური ახსენა, ძალიან კარგი ადამიანიაო. რავი, ცოტა უცნაური ტიპია, სულ ჯიჯღინებს-მეთქი. არა, ნოდარი ძალიან საყვარელიაო.

სხვებზეც ვკითხე, ერთი-ერთზე 3 საათი ვილაპარაკეთ, ყველას აქებდა, ყველაზე კარგს ამბობდა. მე რომ ზოგიერთს ცუდად ვახასიათებდი, ის მიმტკიცებდა, ცდებიო. ერთადერთი შალიკო ნათელაშვილზე თქვა, სულწაწყმედილიაო. აქ მე ვყარე ქოშები უკუღმა, რას ამბობთ, მაგას მიშა სააკაშვილი დასაჭერად დასდევდა, რანაირადმეთქი? მოვა დრო და ყველაფერს გაიგებო. გავიგე, მართლა სულწაწყმედილი ყოფილა!

გუბაზ, შე ჩათლახო, შენზე არაფერი უთქვამს, არც გაგვხსენებიხარ!

ხომ ვიცით, რაზე ხარ დაბოღმილი? მილიონი დოლარი გინდოდა და არ მოგცა ბიძინამ, არც ისეთი დარგი ჩაგიგდეს ხელში, ბოლომდე რომ გაყვლეფდი. 2012-ში დეპუტატად დაიძინე და 2016-ში რიგით მოქალაქედ გაიღვიძე, ისევ მოგინდა არარიგითობა, მაგრამ სამი თითის კომბინაცია გიჩვენეს და სამართლიანადაც. რაც შენ 2012-ში არჩევნებამდე იკადრე, მე რომ ივანიშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, ეგრევე ამოგარტყამდი პანჩურს. მან ეს არ გააკეთა, გაატარა და არა მხოლოდ ეს, ძალიან ბევრი გაატარა, დღესაც ატარებს.

გუბაზ, შენ ხარ უბინძურესი არსება, საქონელი!

არ მერიდება, პირდაპირ გეუბნები, შენ ხარ მიშას უკანალში ამოსული ბოლოკი!!!

### თაკოს უნამუსობა

მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ რუსთავის ციხესთან მისულმა თაკო ჩარკვიანმა დასვა ვეებერთელა შეკითხვა: „ირაკლი ღარიბაშვილმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, ბიძინობა მოგვილოცა, ვინ არის ბიძინა? რა, თამარობა მოგვილოცა? გიორგობა მოგვილოცა“?!

ეჰ, თაკო!

ღარიბაშვილმა მოგვილოცა ბიძინა ჩოლოყაშვილის დღე. ის ბიძინა იყო კახეთის 1659 წლის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. XVII საუკუნის 30-იან წლებში კახეთის სამეფოს სახლთუხუცესი. ქართლის მეფე როსტომსა და კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს შორის გამართულ ბრძოლაში ამ უკანასკნელის მხარეზე იყო. 1648



წელს, თეიმურაზის დავალებით მან ერწო დალაშქრა, რათა თიანეთი მეფისათვის დაემორჩილებინა. კახეთის აჯანყების (1659) შემდეგ შაჰმა შალვა და ელიზბარ ერისთავებთან ერთად ჩოლოყაშვილი ირანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. შაჰმა იგი გადასცა იმ თურქმანებს, რომელთა მეტოქეებიც კახეთის აჯანყების დროს გაწყვიტეს. ჩოლოყაშვილი წამებით მოკლეს.

რაც შეეხება ამ ბიძინას... ეს ის კაცია, შენს ოჯახს რომ ინახავდა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, შენი ძმა რომ გამოსტაცა სიკვდილს ხელიდან და კიდევ, არ დაიწყო, არაო... ამ ბიძინამ დაასაფლავა ჯანსუღ ჩარკვიანი მთაწმინდაზე. ამ ბოლო „პუნქტზე“ არაფრის თქმა არ მინდოდა, მაგრამ ისეთებს ვუყურებ, თავს ვეღარ ვთოკავ!

დიახ, ქალო!

უნდა იცოდე, მაგრამ არ იცი... ბიძინა ჩოლოყაშვილი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად.

ეს ბიძინა ჯერ არ არის შერაცხული წმინდანად, მაგრამ შენი ოჯახისთვის იმდენი აქვს გაკეთებული, ყოველდღე სანთელს უნდა უნთებდე!

რა ვქნა, მე არაფერ შუაში ვარ, ფაქტები თვითონ ჯიუტობენ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# თუ სააკაშვილს ფსიქიატრიული შემოწმება ჩაუტარდება, სულაც არ არის გამორიცხული, მას უმძიმესი ფორმის შიზოფრენია დაუდასტურდეს

***გვესაურება ყოფილი პარლამენტარი და ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი, 18 წლის განმავლობაში პოლიტიკური დევნილი ლევან მამალაძე:***

**— არჩევნები დასრულდა. როგორ გამოიყურება საზღვარგარეთიდან საქართველო და აქ მიმდინარე პროცესები?**

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იმისთვის ტარდება, რომ არჩეული იქნან ისეთი ადამიანები, რომლებიც მოაგვარებენ ამა თუ იმ ქალაქის, რეგიონის, სოფლის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პრობლემებს, კომუნალურს, სატრანსპორტოს და ა. შ. მაგრამ საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები გადააქციეს სახელისუფლებო ბრძოლის ასპარეზად და დაარქვეს რეფერენდუმი.

ასეთი რამ მსოფლიოში არსად არ მომხდარა, ასეთ ფაქტს მე არ ვიცნობ, რომ ადგილობრივ არჩევნებს დატვირთვა გამოსცლოდა და წინასაპარლამენტო არჩევნების აქცენტი და დატვირთვა მისცემოდა.

ეს დამღუპველია და ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ არავინ ფიქრობს, რამდენად აზიანებენ სახელმწიფოს და ქვეყანას.

ყველანაირი ბინძური მეთოდი გამოიყენა ოპოზიციამ არჩევნების წინაც და არჩევნებზეც. ჩანაწერები, დაპირისპირებები პირდაპირ ეთერებში, ცემები, შეურაცხყოფები, შანტაჟები არჩევნებზე, პროვოკაციები, რადგან ყველამ იცოდა, და მათ შორის, სააკაშვილმაც, ჯერ კიდევ უკრაინაში ყოფნისას, რომ ოპოზიციას მოსახლეობის მხოლოდ 13% უჭერდა მხარს. უკრაინაში ჩაატარებინა პიარტენოლოგებს კვლევა და ეს შედეგი დაუდეს.

ოპოზიციამ მშვენივრად იცოდა ისიც, რომ აგებდა ამ არჩევნებს და შემოაგდო მოსმენის ფაილები.

მოსმენით ყველა ქვეყანაში უსმენენ ელჩებს და თვით პრეზიდენტებსაც კი, მაგრამ საქართველოში ვინც ის ფაილები სააშკარაოზე გამოიტანა, უნდა დაისაჯოს. ის არის მოღალატე, მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ყველაფერი გააკეთეს იმის გამო, რომ ხმები მოეზიდათ, ქვეყანას თუ მიაყენეს ზიანი, ეს სულ ფეხებზე დაიკიდეს.

**— საქართველოს პრემიერმინისტრიც იყო არჩევნების წინა დღეებში გაეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად აშშ-ში და როგორც ვიცით, საკმაოდ ნაყოფიერი იყო მისი ვოიაჟი.**

— დავით აღმაშენებელი გენიოსი კაცი იყო. მან შესანიშნავად გამოიყენა მომენტი, რაც ვითარდებოდა მაშინდელ მსოფლიოში და გამოიყენა ჩვენს სასარგებლოდ.

დღესაც მსოფლიოში სხვა სიტუაცია დგას. სხვადასხვა პოლუსები ყალიბდება და საქართველოს შანსი ეძლევა, მეტი სუვერენულობა გამოავლინონ.

ვინც რა უნდა თქვას — მე საქართველოდან მოშორებული ვარ, არავითარი კავშირები არ მაქვს მმართველობასთან და გულწრფელად გეტყვით: შესანიშნავი გამოსვლა ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილს გაეროში, სხვა ქვეყნებშიც.

საქართველო დამოუკიდებელ პოზიციებს იმკვიდრებს და ეს აქამდე არც ერთი პრემიერის დროს არ შემიმჩნევია.

მე ეს მომწონს და ხომ შეიძლება, რომ ვთქვა?!

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო პანდემიამ ეკონომიკური პრობლემები და უამრავი კრიზისები შექმნა თვით ძლიერ ქვეყნებშიც კი, საქართველომ ამ კრიზისებს ასე თუ ისე თავი გაართვა.

ოპოზიციის წარმომადგენლები კი დარბიან საზღვარგარეთ და ასმენენ საქართველოს.

რა განსხვავებაა ადრინდელთან, შაჰებთან და სულთნებთან რომ დარბოდნენ მოღალატე ქართველები და ღალატის სანაცვლოდ ატლასის ხალათებს რომ იღებდნენ?!

შინაური მტრები არ აცლიან საქართველოს, მაგრამ, იმედი მაქვს, მოახერხებს ჩვენი ქვეყანა ფეხზე დადგომას.

**— ბატონო ლევან, სააკაშვილი რუსთავის ციხეში „განისვენებს“, თქვენი აზრით, რა ავანტიურა იყო ეს?**

— სააკაშვილს 1992 წლიდან



ვიცნობ. პარლამენტის წევრი ვიყავი მაშინ. მახსოვს, მოდიოდა იქ, მკლავებით იწმენდდა ცხვირს და ბოდიში და, კოსტუმი გაგლესილი ჰქონდა ცხვირიდან გამონადენით.

რატომ ვამბობ ამას?

იმიტომ რომ, ვიღაცებს ის გაკერპებული ჰყავთ. თვითონ კი გაიძახის: ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი ვარო.

სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მან ისტორიაც არ იცის — არც ფარნავაზს აღიარებს, არც — აღმაშენებელს, არც 1918 წლის დამფუძნებელ კრებას, არც იმას, რომ დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია იყო. არც ზვიად გამსახურდიას აღიარებს და თვითონ არის, თითქოს, ყველაფერი.

სინამდვილეში, არაფერი არ შეუქმნია სააკაშვილს ინსტიტუციონალური, რომელსაც მისი სახელი დაერქმეოდა.

სიმართლეს ვიტყვი: გამსახურდიას დროს დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობა, მაგრამ ვერ მივაღწიეთ საერთაშორისო აღიარებას, შევარდნაძის დროს დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ურთულეს პირობებში ხდებოდა ეს პროცესი. მაშინ განისაზღვრა საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია და დაიწყო ინტეგრაციის პროცესები ევროკავშირსა და ნატოს სტრუქტურებთან. სააკაშვილის დროს მოხდა ამ ურთიერთობების განვითარება. მას ახალი ინსტიტუტები არ შეუქმნია, გარდა ძალადობრივი სტრუქტურებისა, როგორიც იყო სოდ-ი და კუდ-ი და, სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილი რომ არ დახმარებოდა, ვერაფერსაც ვერ შეძლებდა.



იყო ბნელი და უკუნი, მოვედი და გავანათეო, ეს არის სააკაშვილის ვირტუალური რეალობა, რაშიც აცხოვრებდა საქართველოს 9 წელიწადი.

მე ვიყავი და მე ვარ ყველაფერიო, გაიძახის. გაიაროს ამ კაცმა ფსიქოლოგიური და ნარკოლოგიური შემოქმება, რასაც კატეგორიულად ერიდება.

უცხოეთის პოზიცია, როგორც უკვე ვხედავთ, ცალსახაა — ისინი აცხადებენ, რომ სააკაშვილი უნდა იყოს ისეთივე პირობებში, როგორშიც სხვა პატიმრები არიან.

**— სააკაშვილმა ციხიდან დაიბარა ლომჯარიას, უკრაინის კონსულმა მნახოსო.**

— ეტყობა, ამ ხავსს ეჭიდება.



გამოაცხადა შიმშილობა და უკრაინის კონსულის ნახვა მოითხოვა. მაგრამ, სააკაშვილის დანაშაულები საქართველოში მანამდე აქვს ჩადენილი, ვიდრე ის იქნებოდა უკრაინის მოქალაქე და მან პასუხი ქართული მართლმსაჯულების წინაშე უნდა აგოს. თანაც საკაშვილმა საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. ესეც დასჯადია ჩვენი კანონმდებლობით.

მე შურისძიებით და ნიშნისმოგებით არ ვამბობ, მაგრამ ბრალი, რაც მას წარედგინა, არ არის საკმარისი. მან სახელმწიფოს მიაყენა ზიანი. რუსეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიები. ომის დროს მიატოვა ტექნიკა ცხინვალში, კოდორის ხეობაში საერთოდ არ უბრძოლიათ, ისე გადასცა რუსეთს. ყოველივე ეს არის სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულებები, როგორც პრეზიდენტის და როგორც მთავარსარდლის და ითვალისწინებს ძალიან დიდ სასჯელს, მათ შორის, სამუდამო პატიმრობას.

ამასთანავე, მან რუსეთზე გაყიდა სტრატეგიული, სამრეწველო, ენერგეტიკული, მადანმომპოვებელი ობიექტები და თანხები გადაისროლა ოფშორებში, საიდანაც დღემდე იღებს მოგებას.

აი, ეს არის დიდი რეფორმატორი სააკაშვილი.

საერთაშორისო დამკვირვებლები, როგორც ვხედავთ, აღიარებენ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და სააკაშვილს, მისი სცენარის მიუხედავად, მოუხდება პასუხი აგოს სახელმწიფოს და ადამიანების წინაშე ჩადენილი დანაშაულებების გამო.

კაცი, რომელიც თანამდებობის გულისთვის მოქალაქეობას თმობს, რეიტინგისთვის ქვეყნის ტერიტორიებს კარგავს, კაცს, რომელსაც შეუძლია სამშობლოს უღალატოს, ოჯახს უღალატოს, რას უნდა ელოდნენ მისგან მისი მხარდამჭერები?

სააკაშვილის სერიოზულობაში და ჯანმრთელობაში მე ყოველთვის მეპარებოდა ეჭვი და ვითხოვდი მიშას ფსიქიატრიულ შემოწმებას, მაგრამ ის ყოველთვის გაურბოდა, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ნარკოლოგიურ შემოწმებას. დიდი იმედი მაქვს, შესაბამისი სტრუქტურები მას პენიტენციარულ სისტემაში მაინც შეამოწმებენ და სულ არ არის გამორიცხული, უმძიმესი ფორმის შიზოფრენია დაუდასტურდეს.

**— თქვენი აზრით, როგორ მოახერხა მიხეილ სააკაშვილმა შეუმჩნევლად შემოსვლა საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, მან არავის რჩევას და რეკომენდაციას ამჯერადაც არ დაუჯერა და როგორც ვიცი, ჩემი ინფორმაციით, უკრაინიდან სატრანსპორტო ხომალდს, გემს ჩამოჰყვა, ბათუმში დახვდა კატერი. ამ ფორმატში დეტალური კონტროლი არ ხდება ხოლმე. ამიტომ ეს არ ჩაითვლება რაიმე სისუსტედ სახელმწიფოს მხრიდან. ამის შესახებ არ იცოდა ნაციონალების დიდმა ნაწილმაც კი.

2 ოქტომბერს მისი გეგმით უნდა მომხდარიყო შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების ბლოკირება, თითქოს არჩევნები გაყალბდა და ა. შ. და მიტინგზე მიშა უნდა გამოჩენილიყო მოულოდნელად. მაგრამ, როცა შეიტყო, რომ ნაცმხარდამჭერების მობილიზება ნაკლები იყო, ვიდეომიმართვა ჩაწერა, ვითომ ხალხი შეაგულიანა.

შს სამინისტროს, როგორც ვიცი, მაშინვე ჰქონდა ინფორმაცია, როგორც კი გამოჩნდა ბათუმში და თვალ-ყურს ადევნებდნენ. აბსოლუტურად სწორად გააკეთეს, რომ არ დააკავეს ის ხალხმრავალ ადგილას და წყნარად, ექსცესების გარეშე დააპატიმრეს.

რომ ყვირიან, ეს რა ქვეყანაა, როგორ შემოეპარათ და ისაო, არც ერთ ქვეყანაში არ ხორციელდება გემის ასეთი სახით კონტროლი. ბევრჯერ გვინახავს, მაგალითად, იტალიურ გემზე შავკანიანები რომ შეიპარებიან და მერე ნაპირზე გადმოსულები ქალაქს რომ შეესევიან. ისე გააკეთა მაგანაც.

აქ, ცხადია, შეთანხმება იყო გემის კაპიტანთან, მაგრამ ეს ქართულ მხარეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა.

**— ცოლიც მოუყვანია უკრაინაში და ასე მიატოვა ყველაფერი გაუთვალისწინებელი რისკის ფასად?**

— იმ გოგონამ ახლახან გაავრცელა ინფორმაცია: მე ვარ სააკაშვილის ცოლი და მისი ინტერესების დაცვისთვის ვიბრძოლებო. რა გითხრათ, კომიკურია ყველაფერი, რაც არის თვითონ, ისეთივე საქციელი და ცხოვრება აქვს.

ბოლოს და ბოლოს, სულ არ გვაინტერესებს ეს სააკაშვილი. ყველას გვინდა წყნარი ცხოვრება. დავიღალეთ დაპირისპირებებისგან. ძალადობრივი არჩევნები და ძალადობრივი ურთიერთობები, საერთოდ, უნდა დამთავრდეს. ეს უნდა დაამთავროს „ქართულმა ოცნებამ“. ესაა ახლა მისი მისია.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# უკრაინელი მიშას პოლიტთავგადასავლები უკრაინაში

## ანუ რატომ არ შეიყვანეს სააკაშვილი უკრაინის მთავრობაში

სანამ საქართველოში მწვანილის კონტეინერით დაბრუნებული „ვარდების რევოლუციის მამა“ რუსთავის ციხეშია, მისი მხარდამჭერები კი ციხის გარეთ აქციებს მართავენ, გავიხსენოთ რას საქმიანობდა 2012 წლიდან დაბრუნებამდე საქართველოდან წასული მესამე პრეზიდენტი.

2012 წლის 1 ოქტომბერს, ნაცმოძრაობის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებისა და საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა უკრაინაში გაგრძელდა, სადაც უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიერ 2015 წლის 13 თებერვლიდან უკრაინის რეფორმების საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელად დაინიშნა. 2015-2016 წლებში სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად მუშაობდა, შემდეგ კი უკრაინის ხელისუფლების ოპოზიციაში გადავიდა და შექმნა პარტია „ახალ ძალთა მოძრაობა“. უკრაინაში ხელისუფლების შეცვლისა და პრეზიდენტად ვლადიმერ ზელენსკის არჩევის შემდეგ, 2020 წლის 7 მაისიდან მიხეილ სააკაშვილი უკრაინის რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელია.



2020 წლის აპრილში BBC რუსულმა ბიურომ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მეფე-მზის დაბრუნება“ არ შედგა. რატომ არ შეიყვანეს სააკაშვილი უკრაინის მთავრობაში“.

სტატიაში ვკითხულობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადების მიუხედავად, რომ პრეზიდენტმა ზელენსკიმ მთავრობაში შესვლა შესთავაზა, უკრაინის პარლამენტმა მისი ვიცე-პრემიერად დანიშვნის საკითხი არც ამჯერად განიხილა.

ინფორმაცია სააკაშვილის რეფორმების საკითხებში ვიცე -პრემიერის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, უკრაინულმა მედიასაშუალებებმა ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით გამოაქვეყნეს. უკრაინის პრეზიდენტის ოფისმა და მთავრობის პრესსამსახურმა „ჭორებზე კომენტარის გაკეთება“ არ ისურვეს, თავად სააკაშვილმა კი მოვლენების განვითარების საკუთარი ვერსია ფეისბუქში გამოაქვეყნა.

„ჩემთვის დიდი პატივია პრეზიდენტ ზელენსკისგან რეფორმების საკითხებში მთავრობის ვიცე -პრემიერის პოსტის შეთავაზება. მე ასევე მქონდა ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო საუბარი პრემიერ მინისტრ შმიგალთან, რა დროსაც დაწვრილებით განვიხილეთ ჩემი მთავრობაში მოსალოდნელი მუშაობის ყველა საკითხი“ – დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქში, თუმცა მის ოცნებას ასრულება არ ეწერა – საქართველოს ექსპრეზიდენტს უკრაინის ვიცე-პრემიერად გახდომისთვის პარლამენტის ხმები არ ეყო.



BBC-თან ინტერვიუში პარლამენტის რამდენიმე წევრმა აღნიშნა, რომ სააკაშვილის დანიშვნის ინიციატივა პირადად ვლადიმერ ზელენსკის ეკუთვნოდა, თუმცა, მათივე თქმით, პრეზიდენტმა თავისი არჩევანის არგუმენტები ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, სააკაშვილის მთავრობაში შესაძლო მოსვლა თავიდანვე საკამათო საკადრო გადაწყვეტილებას ჰგავდა.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს კონფლიქტური ბუნება და თვითრეკლამისკენ მიდრეკილება გაუხსენეს – თვისებები, რომლებითაც უკრაინის მთავრობაში მოსვლის შემდეგ გამოირჩეოდა. იმ დროს ბევრი შეშფოთებული იყო სააკაშვილის კონფლიქტით შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვთან და იხსენებდა რეფორმების საბჭოს სხდომას, სადაც ავაქოვმა სააკაშვილს წყალი შეასხა. სააკაშვილს ოლიგარქ იგორ კოლომოისკისთან ურთიერთობაც გაუხსენეს.



„კონფლიქტურობისა და არაკონტროლირებადი ხასიათის გამო, სააკაშვილის მიმართ ზელენსკის ერთგული ადამიანებიც კი უარყოფითად არიან განწყობილი. ზელენსკი და სააკაშვილი ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით ერთმანეთს გვანან. ორივე ქოლერიკი და გადამწყვეტი მოქმედების მომხრეა“ – ასე განმარტავს ზელენსკის შესაძლო მოტივაციას ანალიტიკოსი ვოლოდიმირ ფესენკო BBC-თან ინტერვიუში.

კიდევ ერთი, რაც ზელენსკის და სააკაშვილს აერთიანებს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს მიმართ დამოკიდებულებაა.

BBC-ს წყაროები უკრაინის პარლამენტიდან ირწმუნებიან, რომ ზელენსკის გარემოცვაში სააკაშვილის მთავარი ლობისტი შეიძლება პრეზიდენტის ოფისის უფროსი, ანდრეი ერმაკი იყოს, რომელიც ინტერნეტში გავრცელებული ფოტოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ექსპრეზიდენტს კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში სწავლის დროიდან იცნობდა.

პარლამენტის სხდომის დაწყებამდე, სადაც მისი დანიშვნის ბედი წყდებოდა, მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ფრაქციასთან „ხალხის მსახური“ შეხვედრა გამართა. ფაქტობრივად, დეპუტატებთან ამ შეხვედრის შედეგებზე იყო დამოკიდებული, დადგებოდა თუ არა მისი დანიშვნის საკითხი განსახილველად.

საქართველოს ექსპრეზიდენტი ცდილოდა დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ მისი პოტენციალის სრულად გამოვლენა მხოლოდ მთავრობის წევრის და არა პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის მრჩევლის რანგშია შესაძლებელი, თუმცა მას არავინ დაუჯერა. შეხვედრის ბოლოს სააკაშვილს ურჩიეს უფრო იშვიათად გაეხსენებინა თავისი ქართული გამოცდილება და დასმულ კითხვებზე პირდაპირი პასუხები გაეცა.

„პრეზიდენტს და ჩვენს გუნდს არ უღალატებთ? – პირდაპირ ჰკითხა სააკაშვილს პარლამენტის წევრმა ნიკოლაი ტიშჩენკომ.

„მე არ ვაპირებ გუნდის და მით უმეტეს, პრეზიდენტის ღალატს!“ – ასეთი იყო სააკაშვილის პასუხი.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა დეპუტატებთან შეხვედრას „კონსტრუქციული და საინტერესო“ უწოდა, თუმცა ზელენსკის ფრაქციის ორმა წევრმა BBC-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ სააკაშვილის გამოსვლა არადამაჯერებელი იყო და მას პარლამენტში წარმატების შანსი არ აქვს.

მოგვიანებით, ვლადიმერ ზელენსკი სააკაშვილის კანდიდატურის ჩავარდნას ასე ახსნის: „ფრაქციაში მისი კანდიდატურის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო. მოგვიანებით მას სხვა თანამდებობას შევთავაზებ“.

რას აკეთებდა სააკაშვილი პოროშენკოს პრეზიდენტობის დროს უკრაინაში?

გამოცემის ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკრაინის იმდროინდელ პრეზიდენტს, პეტრო პოროშენკოს უნივერსიტეტში სწავლის დროიდან იცნობდა. ევრომაიდანის გამარჯვების შემდეგ ის კიევში გადავიდა, უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და გახდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ოდესის გუბერნატორი. მალე პოროშენკო სააკაშვილის კრიტიკის სამიზნედ იქცა. შედეგად, საქართველოს ექს-პრეზიდენტმა გუბერნატორის სავარძელი დაკარგა და პრეზიდენტის საწინააღმდეგო აქციებს ჩაუდგა სათავეში.



2017 წლის ზაფხულში, პოროშენკომ სააკაშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა. ამ დროს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, მაგრამ მხარდამჭერების დახმარებით უკრაინაში დაბრუნება მოახერხა. სააკაშვილი მთელი ზამთრის განმავლობაში პოროშენკოს საწინაღმდეგო აქციებს აწყობდა, სანამ 2018 წლის თებერვალში პოლონეთში არ იქნა ექსტრადირებული.

თანამდებობის დაკავებიდან ერთი კვირის შემდეგ, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნა.

„მე მინდა ახალ პრეზიდენტთან, ახალ მთავრობასთან და მილიონობით უკრაინელთან ერთად, ახალი უკრაინის მშენებლობის ისტორიული შანსი გამოვიყენო“ – განაცხადა სააკაშვილმა უკრაინაში დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მოლოდინის მიუხედავად, არავითარი თანამდებობა არ მიუღია.

სააკაშვილი, რომლის პარტიამ უკრაინის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში 0.5% -ზე ნაკლები მიიღო, ოდესაში დასახლდა და დროდადრო, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების კომენტირებას დასჯერდა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, სააკაშვილის გარშემო ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის მიერ უკრაინიდან გასვლის ფაქტზე სამსახურებრივი გამოძიება დაიწყო.

გამოცემა წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ბაზაში მიხეილ სააკაშვილის მიერ ქვეყნის დატოვება არ ფიქსირდება, შესაბამისად, სააკაშვილმა უკრაინა უკანონოდ დატოვა.

(გაგრძელება იქნება)

მომზადებულია უკრაინული ინტერნეტ-მასალებზე დაყრდნობით

ნელი თორდია
571 35 36 88

# მიშა, ფიასკო და ვენერა ბებოს მოთქმით დატირება

## „ბატონო მიშაა, რისთვის გებრძვიიან“

წლების წინ სოფელში გვყავდა ერთი ძალიან მაგარი „პიარშჩიკი“. ჩვეულებრივი კაცი იყო, არც სხვაზე მდიდარი, არც — ღარიბი, არც ჭკვიანი, არც — სულელი, პრინციპში, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული, მაგრამ მაინც განსაკუთრებული. სოფლის ცენტრში რომ გამოჩნდებოდა, ყველა ყურადღებას აქცევდა, რადგან ხუმრობდა და მახვილსიტყვაობდა, ქილიკობდა და მასხარაობდა, ხან მართალს ამბობდა, ხან — ტყუილს. კოლორიტი იყო, რა, თან ცოტა ხელწამკრავი, მოკლედ, არასერიოზული კაცი კი იყო, მაგრამ სხვა, დინჯ, ჭკვიან, წყნარ კაცთაგან აშკარად გამორჩეული და დასამახსოვრებელი.

ერთ დილას თქვეს, წუხელ სოფლის მაღაზია გაუქურდავთ, პოლიციამ კვალს მიაგნო და ჩვენი „კოლორიტი“ დაიჭირესო. ამ



კაცს ძიების პროცესში სხვა დანაშაულობებიც გამოუმჟღავნდა და დიდი ხნით მოუწია ციხეში ყოფნა. როგორც ჩანს, ციხეში თავი ისე ვეღარ გამოიჩინა, რომ სოფლამდე მოეღწია ამბებს, ამიტომ მის შესახებ მას შემდეგ არაფერი მსმენია, თუმცა სოფელს დღემდე ახსოვს ის ადამიანი არა მახვილსიტყვაობის ან სხვა ნიშნის გამო, არამედ იმის გამო, რაც ჩაიდინა მაღაზიის გაქურდვის დროს.

მოკლედ, ამ „პოპულარულ“ კაცს მაღაზიის შენობის ძირში გვირაბი გამოუთხრია, მერე იატაკი ქვემოდან გაუტეხავს და ასე იატაკქვეშიდან ასულა მაღაზიაში. წამოსვლამდე მაღაზიის შუაგულში კაი ხოშიანად მოუსაქმებია, წამოუღია ნაქურდალი და წამოსულა.

როგორც გითხარით, მისი ციხის ისტორია, ან სხვა რამე მის შესახებ, დღემდე არავის ახსოვს, ახსოვთ და იხსენებენ მხოლოდ, ბოდიშით და, მის მოსაქმებას.

ეს უხერხული ამბავი რამ გამახსენა და იმ ფეისბუკ-პოსტმა, ზოგიერთები რომ წერდნენ: მიხეილ სააკაშვილი გენიალური „პიარშჩიკია“, ხომ აალაპარაკა მთელი საქართველო და არა მხოლოდ საქართველოო.

ისედაც იცით, მაგრამ კიდევ უნდა „მოგისამძიმროთ“: სააკაშვილი ჩვენი ბედკრული ქვეყნის სამარცხვინო ისტორიის ფურცლებზე დარჩება. მისი სისაძაგლით იწერება ჩვენი დროის ეს სამარცხვინო და სავალალო პერიოდები...

დემაგოგები კი ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი წარსულია, რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია, ახლა სხვა მთავრობაა, კარგად იმუშაონ და მიშა დაივიწყონ.

სამწუხაროდ, სააკაშვილიზმი, ეს საშინელი დაავადება, არ არის გუშინდელი დღე, იმის მიუხედავად, რომ მისი მმართველობის მანკიერი ნარჩენების რადიაქტიული შხამები აავადებენ და ამახინჯებენ ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაურკვეველ დროში გაჩხერილ ცნობიერებას.

ერთი მხრით ეს შეიძლება ნორმაც იყოს — ერს, მით უფრო, რიცხობრივად მცირეს, ყოველთვის სჭირდება ლიდერი, მეთაური, რომელსაც უნდა გაყვეს, როგორც იდეოლოგიურად, ასევე სტრატეგიულად...

ბედმა დაგვცინა, 2003 წელს სააკაშვილი რომ გამოგვიგორა ერის წინამძღოლად და მეთაურად.

შევარდნაძისდროინდელი პარლამენტარი მიყვებოდა: პარლამენტის სხდომებზე მიშას დიდხანს ჯდომა სწყინდებოდა, ფეხსაცმელს იხდიდა და ფეხის წვერზე წამოცმულს აქანავებდა ხოლმეო. ერთხელ ვიღაცამ ფეხი უკრა ფეხსაცმელზე და შუა დარბაზში გადავარდა მიშას ტუფლი, ამასობაში ტრიბუნასთან უნდა გასულიყო, ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით მივიდა ტუფლთან, ჩაიცვა და მისთვის ჩვეული ხითხით-კისკისით ტრიბუნასთან მივიდაო.

1 ოქტომბერს სააკაშვილი თბილისში ვინმე ცომაიას სახლში დააკავეს.

ბორკილდადებული „პოლიტიკოსი“ და „დიდი პიარშჩიკი“ ციხეში შესვლის წინ იცინოდა.

მისი მომხრეები ხართ თუ მოწინააღმდეგეები, არ აქვს მნიშვნელობა, სიცილი სიხარულის მიმანიშნებელი ემოცია ხომ არის?.

მე მგონია, როცა გახარებული ვართ — ვიცინით, როცა რაიმე გვწყინს — ვდარდიანობთ.

ემოციების გამოხატვის კუთხითაც გადატრიალება მოხდა და მე ისევ „იქ“, ძველ დროში ვარ ჩარჩენილი?

როგორც ამბობენ, ექს-პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინიდან როგორ და როდის გამოიპარა, მართლა არ იცოდა უკრაინის ხელისუფლებამ და სპეციალურმა სამსახურებმა, რადგან, როგორც თქვეს, მიხეილი უკრაინაში დაახლოებია ქართველს, რომელსაც ჰყოლია მძიმეწონიანი



ტვირთების გადამზიდავი ტრაილერი და იმ ტრაილერის ერთ მისაბმელში, დიდ ყუთში ჩამჯდარი, ვითომ სამრეწველო ტვირთი, ისე შემოუყვანიათ (თუ შემოუტანიათ) საქართველოში...

ვინც ჩემს ნაწერ-ნაფიქრალს თვალს ადევნებს, ეცოდინება, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის კრიტიკაში ვარ სულ, მაგრამ სააკაშვილი ხელბორკილით რომ დავინახე, ვერ მივხვდი, გამიხარდა თუ მეწყინა — თვალწინ დამიდგა მისი ხოხვა გორში მიწაზე, აჭარაში კაიმაღის ხეთქვა იმ დონეზე, რომ გული აერია თურმე, „ბელას ტორტის“ უაზროდ ჭამა, ჰალსტუხის ღეჭვა, ვიღაცის ძუძუს მოჭმა... წამების ფაილების ყურების დროს კრიჭინით სიცილი, ცხვირის ხელით წმენდა, უკრაინაში სახურავებზე ბაწრით ხოხიალი...

ეს არის პიარის სპეციალისტი და ეს არის, საერთოდ, ნორმალურობა?!

საცოდავი კაცია მიხეილ სააკაშვილი და ამ საცოდავი კაცის იმედი აქვს იმას, ვისაც, როგორც ჩანს, ან მასზე ძალიან უჭირს გონებრივად, ან ძალიან უნამუსოა და თავისი მიზნებისთვის იყენებს ამ არაადექვატურს იმ დრომდე, სანამ უფსკრულამდე არ მიიყვანს, რომ იქ სამუდამოდ გადაჩეხოს.

თვითონ ისედაც გადაჩეხილია და კიდევ კარგი, ეს ქვეყანა არ ჩაიყოლა, კიდევ კარგი, რომ 2012 წლამდე მივაღწიეთ, ასე თუ ისე, როგორც იყო...

„კიდევ კარგი, რომ შენი ფეხისგულები შეეხო ჩვენს მიწას“, — წერენ მიშას ფეისბუკში მასზე შეყვარებულები.

მე კი მახსენდება საყვარელი ვენერა ბებოს გულწრფელი სიმღერა, მოთქმით დატირებას რომ ჰგავდა: „ბატონო მიშაა, რისთვის გებრძვიიაან, სიკარგის მეტი რა გააკეთეე... შენ გენაცვალოს, შენი ტანჯული პენსიონრებიი“.

რისთვის ჩამოვიდა „ბატონი მიშა“, „საქართველოს გადასარჩენად“ თუ ახალი „რევოლუციის“ მოსაწყობად?

მას რომ ჰკითხოთ, ამაზე პასუხი არ ექნება, რადგან სრულ აბსურდში და ეიფორიაშია, ავადმყოფია კაცი, თორემ ნორმალური აქ, ამ სიტუაციაში, მისგან ამდენი გამწარებული რომ ხვდება, იმ ქვეყანაში, როგორ უნდა შემოსულიყო და მეტიც, რანაირად უნდა მოეხდინა კიდევ ერთი რევოლუცია, რანაირად უნდა დაბრუნებულიყო ხელისუფლებაში...

ზოგი ოპონენტი, ორიგინალობის მოყვარული, საიდუმლოებათა ფარდის ამხდელის სტატუსის მოპოვებისთვის მებრძოლი ამბობს: მიშას ჩამოყვანა „ქოც-ნაცთა“ ერთობლივი ჩანაფიქრი იყოო. დავუშვათ! დავუშვათ, ასე იყო, მერე? ეს სააკაშვილის სიგიჟეს გადაფარავდა და ამ სცენარის უტოპიურობას და ნაციონალების დისკრედიტაციის ანულირებას მოახდენდა?

ჯოვანი ფიასკოს ტირანთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ მძიმე ალჭურვილობა ჩაუცვამს, საბრძოლველად ნავებით უნდა გადასულიყვნენ თურმე. ნაპირიდან ნავამდე ხის მორი გაუდვიათ, ფიასკოს ფეხი დასცურებია, ზღვაში ჩავარდნილა, მძიმე საჭურველს მაშინვე დაუძირავს და ასე დასრულებულა მისი უკანასკნელი ბრძოლა.

აქედან მოდის ტერმინი ფიასკო, რომელიც პირწმინდად და ტრაგიკულად იწვნია საკაშვილმა ამჯერად (განიცადას ვერ ვიტყვი, რადგან არ ვიცი, განიცდის და ხვდება თუ არა).

მაინც რა გათვალული ვართ. საქართველოს მესამე პრეზიდენტმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, უარი თქვა ქვეყანაზე, რომლის მეთაური იყო 9 წლის განმავლობაში, უარი თქვა სამშობლოზე (თუ მართლა სამშობლოა მისთვის საქართველო) და მაღალქუსლიან „შპილკებზე“ შემდგარ ძველ „ენჯეოშნიკ“ სახალხო დამცველ ლომჯარიას ციხიდან დაიბარა: უკრაინის კონსული მომიყვანეთ, მე არ ვარ საქართველოს მოქალაქეო.



ვენერა ბებო კი მღერის: „ბატონო მიშაა, რისთვის გებრძვიიან“...

ვინღა ებრძვის, აწი, მიშას?!.. გუბერნატორობაზე გაცვალა საქართველოს მოქალაქეობა და ბოლოს მისმა ცხოვრებამ იმდენად დაკარგა აზრი, რომ უკრაინაში უზრუნველყოფილ ცხოვრებას პატიმრობა არჩია.

კარგი, ვთქვათ, სააკაშვილი გარკვეული დროის შემდეგ გაათავისუფლეს, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ ნაცნარჩენები და ამით რა: სააკაშვილის არაადექვატურობა „გაპრავდება“, „ნაციონალების“ სისხლისმსმელობა უცოდველი ბატკნის ქმედებებად იქცევა, მზე დაბლა ჩამოვა, ნაცები ვარსკვლავებს აკრეფენ მიწიდან და მის მხარდამჭერებს, ან საქართველოს სხვა მოქალაქეებს დაურიგებენ?..

ძნელია, კეთილგონიერებას მოუხმო მაშინ, როცა არ იცი, შენს ირგვლივ რა ხდება, მაგრამ ფაქტები ღაღადებენ და როგორც ჩემმა თანასოფლელმა მოისაქმა მაღაზიაში, ისე ისაქმებს და აბინძურებს სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ყველაფერს ჩვენს ქვეყანაში. ამჯერად მაინც ნუ მივცემთ მათ ამ თავხედობის უფლებას, ჩვენც ნუ გავგიჟდებით...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მოათვინიერებს თუ არა გაერო აგრესიულ მსოფლიოს?

გაეროს ასამბლეის წლევანდელ, 76-ე სესიაზე ბევრი საყურადღებო განცხადება გაკეთდა.

განვლილ ღონისძიებას არ ესწრებოდნენ ჩინეთის მმართველი სი ძინ პინი, გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედი კანცლერი ანგელა მერკელი, საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტები ემანუელ მაკრონი და ვლადიმირ პუტინი. ფრაუ მერკელი ქვეყანაში ბუნდესტაგის არჩევნების გამო არ ჩავიდა ნიუ-იორკში. აქვე გეტყვით, რომ ის ვერაფრით დაეხმარა საკუთარ პარტიას. 16-წლიანი მმართველობის შემდეგ პოზიციები დათმო მერკელის ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ და არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. ახალი კანცლერის არჩევამდე და მთავრობის ფორმირებამდე, რომელიც ადვილი შესაძლებელია, რამდენიმე თვეც გაგრძელდეს, ანგელა მერკელი თანამდებობაზე დარჩება. რუსეთის პრეზიდენტი, ოფიციალური ინფორმაციით, თვითიზოლაციაში იყო, რადგან მისი ადმინისტრაციის თანამშრომლებს კოვიდი აღმოაჩნდათ. თავად პუტინი აცრილია და არ აღმოაჩნდა ინფექცია, მაგრამ თავი დაიზღვიაო, — განაცხადეს კრემლის პრესსამსახურში.











ჩინეთისა და საფრანგეთის მეთაურების არყოფნა პოლიტოლოგებმა ცალკეული ქვეყნების მეთაურებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე განაწყენებით ახსნეს. კერძოდ, მათ თავი აარიდეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯო ბაიდენთან, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრებთან — ბორის ჯონსონთან და სკოტ მორისონთან შეხვედრასო, — აცხადებდნენ პოლიტოლოგები მტკიცებით ფორმაში.

საფრანგეთში ხელისუფლების წარმომადგენლები გაბრაზებულები არიან წყალქვეშა გემების კონტრაქტის ჩაშლის გამო. რადგან მაკრონი აშშ-ში არ ჩავიდა, ამიტომ დაურეკა ჯო ბაიდენმა მას. საუბრის დეტალები უცნობია. თუმცა გასულ კვირას აშშ-ში დაბრუნდა ქვეყნიდან გაწვეული საფრანგეთის ელჩი, მაგრამ ავსტრალიაში არ აპირებენ ელჩის დაბრუნებას. ექსპერტების შეფასებით, ბაიდენმა მაკრონი „მოათვინიერა“.

გენასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას ჯო ბაიდენმა განაცხადა: „აშშ არ ისწრაფვის, რომელიმე ქვეყანასთან აწარმოოს ცივი ომი... გადავხედავთ და დავარეგულირებთ ურთიერთობის ფორმატს ევროკავშირთან... აშშ დაიცავს მოკავშირეებს ტერორიზმის საფრთხისგან... ჩვენ წინ აღვუდგებით იმ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, გახდნენ დომინანტები, თუმცა არავისთან არ გვინდა კონფრონტაცია“. ახლახან შექმნილი ორგანიზაცია **AUKUS**-ი სწორედ ჩინეთის საწინააღმდეგოდ რომ დააფუძნეს, ამაზე უკვე ღიად საუბრობენ პოლიტოლოგები. სი ძინპინმა ვიდეოჩართვის მეშვეობით მიმართა გენასამბლეას: „...ჩინეთი არ აპირებს რომელიმე ქვეყანაზე თავდასხმას და არც მსოფლიო ლიდერობისკენ ისწრაფვის. ყველა საკითხი დიალოგის მეშვეობით უნდა მოგვარდეს“.

რეალურად, აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ვითარება არაპროგნოზირებადია. გასულ კვირას ცნობილი გახდა აშშ-ის ახალი გეგმა — წყნარი ოკეანის აუზში შემავალი აზიის 15 ქვეყანასთან ერთად შექმნან ნატოს მსგავსი სამხედრო ორგანიზაცია, რომელშიც ჩინეთის მიმართ არაკეთილგანწყობილი სახელმწიფოები გაერთიანდებიან. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღიზიანა ჩინელები, რადგან, იდეის ავტორების განცხადებით, ალიანსი სწორედ ჩინეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ჩინელების განცხადებით, რეგიონში არავის სჭირდება ახალი ტიპის, საერთოდაც, რაიმე სახის სამხედრო ალიანსი, რომელიც რეგიონში მხოლოდ დესტაბილიზაციას მოიტანს. რომელი ქვეყნები გაწევრიანდებიან და როდის შეიქმნება აზიის რეგიონში ახალი სამხედრო ალიანსი, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის მეთაურებმა **AUKUS**-ი დისტანციურად, ვიდეო-ჩართვით დააფუძნეს. ბორის ჯონსონი გენასამბლეის სესიაზე ჩავიდა. საინტერესო გამოდგა მისი პირისპირ შეხვედრა ჯო ბაიდენთან. ორივე ლიდერი კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდნენ, იცინოდნენ... ძნელია, ამას საქმიანი დიალოგი დავარქვათ. ჯონსონი არც დაფიქრებულა და ბაიდენს „ცოცხალი ღვთაება“ (?) უწოდა! ბაიდენმა შეიფერა და დაეთანხმა...

საკმაოდ მკვახე გამოსვლა ჰქონდა გაეროში თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანს. დასაფიქრებელია, რომ მან ღიად გამოთქვა პრეტენზიები მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე, მათ შორის დაასახელა ბათუმი! თურქეთს სტრატეგიულ პარტნიორად, მეგობარ ქვეყნად მივიჩნევთ. მათ კი ჩვენს, საქართველოს ტერიტორიებზე უჭირავთ თვალი! საყოველთაოდ ცნობილია ერდოღანის რუსეთის პრეზიდენტისადმი დამოკიდებულება, რომელსაც „ძმას,“ „უახლოეს მეგობარს“ უწოდებს. მიუხედავად ამისა, გაეროს ტრიბუნიდან დაუშვებლად მიიჩნია რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაცია. ერდოღანი არც სექტემბრის შუა რიცხვებში გამართულ რუსეთის დუმის არჩევნების შედეგებს აღიარებს.

ერთი შეხედვით, რთული პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა ორ ქვეყანას შორის. მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, გასულ კვირას ერდოღანი რუსეთში, სოჭის სამთავრობო რეზიდენციაში შეხვდა რუს კოლეგას. პირისპირ საუბარი 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ეს პირველი ოფიციალური შეხვედრა გახლდათ პუტინის თვითიზოლაციიდან გამოსვლის შემდეგ. რაზე ისაუბრეს პრეზიდენტებმა, ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა. პროტოკოლის მიხედვით განიხილეს სირიაში, ლიბიაში და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. ერდოღანის განცხადებით: „...რუსეთსა და თურქეთს კარგი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ. სწორედ ჩვენი ქვეყნების კარგ ურთიერთობაზეა დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება“.

ანალიტიკოსების შეფასებით, ერდოღანი განაწყენებულია აშშ-ზე და ევროპის ქვეყნებზე. გაეროში ყოფნისას ბაიდენმა უარი თქვა მასთან შეხვედრაზე. ერდოღანს ნატოში მწვავედ აკრიტიკებენ საჰარო დაცვის კომპლექსის რუსეთისგან შეძენისთვის. თუმცა ერდოღანი დამყოლი სულაც არ არის. უფრო მეტიც, აშშ-ში ყოფნისას **NBC**-ის ეთერში ერდოღანმა განაცხადა: „... არავისი საქმე არ არის, ვისგან რას შევიძენთ. ამერიკამ არ მოგვცა „პეტრიოტის“ კომპლექსი, ამიტომაც ვიყიდეთ რუსეთისგან. რასაც კვლავაც შევიძენთ დამატებით. არც სამხედრო თვითმფრინავებს F-35-ს გვაძლევენ. ამიტომაც დაგვიბრუნოს აშშ-მ წინასწარ გადახდილი 1,5 მილიარდი დოლარი“. ექსპერტების შეფასებით, ერდოღანი ეცდება რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას, მაგრამ არც თავის ინტერესებს დათმობს რეგიონში. პრობლემები კი მრავლად აქვს. ერთ-ერთი მთავარი ქურთების საკითხია, რომელსაც რუსეთის გარეშე ვერ მოაგვარებს.

კვლავაც აქტიურად გრძელდება აშშ-ში ავღანეთიდან ჯარების ნაჩქარევად გაყვანაზე მსჯელობა. საკითხის განხილვაში უკვე აქტიურად ჩაერთნენ კანონმდებლები. კონგრესში დაიბარეს თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი და გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელი გენერალი მარკ მილი. კანონმდებლებს განსაკუთრებით აინტერესებდათ, ვინ გასცა ბრძანება 29 აგვისტოს ქაბულში განხორციელებულ შეტევაზე, რასაც 10 მშვიდობიანი მოსახლის, მათ შორის 7 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა კონკრეტული პასუხი ვერ მიიღეს. მინისტრი ჯარების გაყვანას და სამოქალაქო პირების ევაკუაციას წარმატებულად აფასებს. გენერალი მილი ცდილობს, ობიექტურად გააანალიზოს განვლილი მოვლენები. ის დღემდე გაოცებულია, თუ როგორ შეძლო რამდენიმე ათასმა თალიბმა კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი მრავალრიცხოვანი ავღანეთის სამთავრობო ჯარის დამარცხება. მისი თქმით, პრეზიდენტს ურჩევდნენ, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე დაეტოვებინათ თუნდაც 2,5 ათასი სამხედრო, რათა თავიდან აეცილებინათ გაუთვალისწინებელი მოვლენები, მაგრამ თეთრი სახლის ადმინისტრაციამ არ გაითვალისწინა გენერლების რჩევა.

კონგრესმენების მხრიდან განსაკუთრებული კრიტიკა, ფაქტობრივად, შტურმი, გენშტაბის ხელმძღვანელს დაატყდა თავს. ორი კვირის წინ მილი თავის რუს კოლეგას ალექსი გერასიმოვს შეხვდა. საუბრის დეტალები, თავისთავად, საიდუმლოდ რჩება. გავრცელებული ინფორმაციით, განიხილეს შუა აზიაში განთავსებული რუსეთის ბაზების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობა. მილის თქმით, სირიიდან ტერორისტები ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციებში, კონკრეტულად, შუა აზიის ქვეყნების საზღვრებთან სიახლოვეს დაბანაკდნენ. გერასიმოვის პასუხი უცნობია. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია კანონმდებლების გაცხარება — რატომ სთხოვეს აშშ-ის გენერლებმა რუსეთს დახმარება ტერორიზმთან ბრძოლაში.



„ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე გრძელდება ბუნებრივ აირზე ფასების ზრდა. გასულ კვირას ევროპის საწვავის ბირჟებზე ბუნებრივი გაზის ფასმა ჯერ არნახული 1000 კუბურ/მ-ზე 1200 აშშ დოლარი შეადგინა. დიდ ბრიტანეთში კი ბენზინის დეფიციტია. ამის მიზეზად ბენზინმზიდი მანქანების ნაკლებობას ასახელებენ, რაც ბრექსიტმა გამოიწვია. დაქირავებულმა ადამიანებმა, რომლებიც დისტრიბუციას ემსახურებოდნენ, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ დატოვეს გაერთიანებული სამეფო. ამ გარემოებამ არა მხოლოდ სათბობ-საწვავი, არამედ პროდუქტების მწარმოებლებიც დააზარალა. თუ ბენზინგასამართ სადგურებზე ხელჩართული ჩხუბებია, ჯერ მსგავსი რამ არ აღინიშნება პროდუქტების მყიდველთა ამქარში. ამიტომ საწვავის დისტრიბუცია ორშაბათს უკვე სამხედროებმა დაიწყეს. თუმცა ექსპერტები ამაში გამოსავალს ვერ ხედავენ და მიაჩნიათ, რომ კრიზისი მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

დაველოდოთ მსოფლიოში მოვლენების განვითარებას, რაც უდავოდ ჩვენთვისაც საინტერესოა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# როგორ იბადებიან განდონები?

მიხეილ წამებულის დაპატიმრების მეორე დღეს, ორ ოქტომბერს, მეორე საოცრება მოხდა. აღმოჩნდა, რომ მკვლელების, მტაცებლების, გარეწრების, ქვეყნის დამაქცევრების მომხრეები არცთუ ცოტა გვყოლია. ვფიქრობ, უმნიშვნელოა ის ფაქტორი, მატერიალური სიკეთის თუ იდეური, ნაცსიბეცის გამო მისცეს ხმა ქვეყნის და ხალხის დაუძინებელ მტრებს... სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო „ქართული ოცნების“ არცთუ ცოტა მხარდამჭერია განაწყენებული. სწორედ ამიტომაც დაკარგეს ხმები... სოციალურ ქსელში თუ პრივატულ საუბრებში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გა-



ნაწყენების უპირველეს მიზეზს, კოჰაბიტაციას ასახელებენ. არსებობს სხვა მიზეზებიც, მაგრამ არ არსებობს სურვილი, კიდევ ვიხილოთ ნაცთა თარეში... სოციალურ ქსელში სწორედ „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული უამრავი მხარდამჭერი წერს, რომ პირველ ტურში არჩევნებზე არ ყოფილა, მაგრამ მეორე ტურში აუცილებლად მივა. ასე რომ, ნაცთა სიხარული ნამეტნავად ნაადრევია. აი, რას წერენ აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელში. „ოცნება რაც არის გასაგებია, მაგრამ ნაცებს წარსული სულ რომ მოენანინებინათ, იმ პარტიას როგორ აძლევთ ხმას, ვინც ცისარტყელას დროშებით პრაიდს გპირდებათ, სასოფლო მიწების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას ფაშიზმს უწოდებს, ეკლესიას ემტერება და სავალდებულო ვაქცინაციას უჭერს მხარს? თუ ვადამდელის გამო მიეცით ხმა, არჩევნებში 60 პარტია იღებდა მონაწილეობას და ამოგერჩიათ სხვა ვინმე... ალბათ, ბევრს იმ კასტილიანი კაცის ნოსტალგია აქვს...“ ვინც ლოყებს იხოკავთ მიშასათვის, შეგიძლიათ გაჰყვეთ თან. ოცნების შეცდომებზე საუბრისას ნურავის დაავიწყდება, რომ მათი მთავარი შეცდომა ნაცებთან კოჰაბიტაციაა. ხოო, სადისტები არ არიან დღეს ხელისუფლებაში! ოცნება არ ვარგა და ნაცები დააბრუნეთ!! ხმა მაინც ჩაიწყვიტეთ, ისეთები რომ ამბობთ ამას, მსუყედ რომ ხართ ახლაც და მაშინ, ტ...ს ულოკავდით ნაცებს! იუდას ღიმილი გაქვთ აკრული პირზე და ყველა დროში იოლად გადიხართ ფონს, რადგან უნამუსობა თანდაყოლილი სენია და მერე რა, თუ ქვეყანაც დაიქცევა, მთავარია, უნამუსო იყოს კარგად! რაც შეეხება მიშიკოს. რაო, არ ეკადრებოდა დაჭერა? მაგაზე მაგარი და ძლიერი, ღირსეული კაცები და ქალები დაიჭირა ბლუ ვანომ, ახალიამ და სისხლიანი სასაკლაოები მოაწყეს გარეთ თუ ციხეში... დაგავიწყდათ? ასე მალე დაგავიწყდათ 2008 წელი???!!!! ჩახოცილი საჯიშე ბიჭები!!!! და ალბათ იმიტომ, თქვენიანი არავინ იყო!!! ნაცების დროს დაჭერებს ტაშს რომ უკრავდით, ახლა კი ყველა უკანონოდ ზის თურმე, იმ ხალხზე მეხარხარება. მიშასი და ვანოსი რომ კაცს შეეშინდება და დაემონები მათ, ესაა უბედურება!! (თუმცა ლაჩარი კი არის საშიში). კაიფში მყოფი, ახლა მოდის აზრზე და უკრაინაში წამიყვანეთ-ძახილშია. რატომ არ ეკუთვნოდა ციხე? თან თავის აშენებული. მაგრამ, თავის რეჟიმის მსგავსი უნდა დახვედროდა იქ!! ყველაფერჩიკი ნაცები რა, შეიცვალნენ? ნაფტალი-



ნიდან გამოაძრეს ხერხეულიძე. გულები დაგვიხეთქეს, აი, ჩარკვიანი ვალშია მიშუტკასთან, დედუპატობის ვალში და უნდა იწივლოს და იკივლოს... კვიცი გვარზე ხტის, ღალატი და მედროვეობა, მისგან ვის უკვირს... გუბოზმა — მილიონი ვერა, მიშა იშოვა! ეს მთხლეები, ეს მედროვე მონები, გულისამრევია ეს ყველაფერი! ხო, მე არ წავედი არჩევნებზე. არ წავიდა ბევრი ჩემი თანამოაზრე!!! და ზუსტად იმიტომ, რომ ამ მასკარადს ვუყურებთ, ნაცებთან ვასვასს... მეორე ტურში წავალთ არა იმიტომ, რომ ოცნებაზე ვირევი, ნაცების წინააღმდეგ იქნება ჩემი და ჩვენი ხმა! ოცნება, ეს საბოლოო სილა იყო, იმ ადამიანებისგან, ვის ხარჯზეც მოხვედი! ნაცებზე უარესები ხართ მათი გამპრავებლები!!! (პორტირებული, მედროვე, უწიგნური ხალხი მოიცილო სჯობდეს იქნება!) პატივისცემა დამრჩა რამდენიმესი, კაცებად რომ დარჩნენ დღეს ხელისუფლებაში!!... ვაი, მედიების დაკრულზე არაყოლილ საზოგადოებას ვაღიარებ და არა დიდ საბოზეთს, პირდაპირ ბორდელებად რომ აქციეს ტელევიზიები და აღებ-მიცემობაა გაჩაღებული საკუთარი კეთილდღეობისა და ხალხის დაშტერებისთვის! ხოდა, ახლა, ვისაც ჩემი ნათქვამი გულზე ცუდად მოგხვდებათ, მიშას ებარებოდეთ, ტაკოს და გუბოზს! გონებრივი სიბრმავე ყველაზე დიდი საშინელებააა!“ დიახ, უამრავი „განაწყენებული“ ამომრჩეველი წერს, რომ არჩევნების მეორე ტურზე მივა და მხარს „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს... თბილისს, ქუთაისს, ზუგდიდს, ბათუმს არ დავუთმობთ მკვლელების, გარეწრების ხროვას. მელია დარწმუნებულია, რომ „მერია“, მაგრამ ნურას უკაცრავად. აი, რას წერს მის შესახებ მერიის ერთ-ერთი თანამშრომელი: „აი, ამ შარდის ბუშტს **Nika Melia** / ნიკა მელია უთქვამს, რომ მერიიდან არცერთ თანამშრომელს არ დავითხოვო. ჯერ ეს ერთი. შენი დასათხოვი ვის რა სჭირს შე ჟეშტის ყ...ო! მერე მეორე: ვინც შენ მერობაზე ხმა მოგცა იმის დებილი დედაც, მერე მესამე: აზრზე არა ხარ იმ უფლებამოსილებისა რაზეც პრეტეზია გაქვს შე მაიონეზით გაკეთებულო! მერია მამაშენის დუქანი ხომ არ გგონია ვინც გინდა დაითხოვო და ვინც გინდა მიიღო, დაპირებებს რომ იძლევი ყოჩაღად. ყველა საჯარო მოხელეს კანონი იცავს. ან თვითმმართველობის შესახებ კანონში ჩაიხედე, ან საჯარო მოხელის შესახებ კანონი წაიკითხე, ან მერის უფლებებს გაეცანი, კომბლეს მეტი ცხოვრებაში ზღაპარიც რომ არ წაუკითხავთ შენთვის, გამოდიხარ და ენა ჭკუის წინ გისწრებს.“ აღნიშ-



ნული სტატუსის ავტორმა, უყურადღებოდ არც გახარია დატოვა: „ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ სააკაშვილის არაადამიანური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა აქტიურ ფაზაში შევიდა 2007 წელს. შემდგომ 2010 წელს ეს ბრძოლა უფრო გააქტიურდა და 2011 წელს დაფუძნდა პარტია „ქართული ოცნება“ (ეს იმათ გასაგონად, ვინც ნიშნისმოგებით იძახის ხოლმე, რომ 2012 წლიდან ოცნებას უჭერ მხარსო). ეს პარტია დააფუძნა ბიძინამ და რამოდენიმე ადამიანმა, მათ შორის გამოკვეთილი ლიდერები იყვნენ კახი კალაძე და ირაკლი ღარიბაშვილი. ამ პარტიის დამფუძნებლებიდან რამოდენიმე ადამიანი გავიდა. მათ შორის მაგალითისთვის დავასახელებ ბესელიას. მიუხედავად იმისა




რომ ის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო და წვლილიც ჰქონდა შეტანილი, რითიც მოვიდა, იმითვე წავიდა. წავიდა და წავიდა, ეს მისი გადაწყვეტილება იყო. მე რაღაც ვერ ვიხსენებ გახარიას იმ პერიოდში (არც ყოფილა) ოცნების რიგებში, დაჟე საქართველოშიც კი არ იყო. მერე ვიღაცეების დახმარებით ეს მოხვდა პარტიაში, მიიღეს, ჩაიხუტეს, თანამდებობაზე დანიშნეს, მერე მინისტრი გახადეს, მერე პრემიერი და ყველანაირად ხელი შეუწყვეს მის კარიერულ ზრდას. დაჟე კარტბლანში მისცეს საკადრო პოლიტიკაში, კვოტებიც მისცეს საპარლამენტო სიებში. მერე დაიწყო თავისი ხალხის დანიშვნა ყველა წამყვან პოზიციაზე, რეგიონებშიც გადაწვდა და მათი მეშვეობით მოსახლეობაში ავტორიტეტის ამაღლება. ხშირად პარლამენტის ტრიბუნიდან უქნევდა თითს ნაციანალებს — მე თქვენ დაგამთავრებთო. მერე გაუჩნდა ამბიციები — რა მაგარი ვყოფილვარო, ამდენი რამე შემძლებიაო, დაიწყო ტრაკის თამაში და საკუთარ გუნდს სუფრაზე მოუკუკა. მერე ჩართო თავისი ჩანერგილი ტიპები პარლამენტში, გუბერნიებში და გატენილი თოფი მოუტრიალა თავის კოლეგებს. ესეც არ იკმარა და იმ აქტივს დაუწყო ჩალიჩი რომლებიც ამ პარტიას მოჰყვებოდნენ 2011 წლიდან და ზოგი მათგანი



ძალიან გაბრაზებულიც იყო ოცნებაზე ნაცებთან კოჰაბიტაციის გამო (რომელიც ასევე გახარია N1 — დ. უსუფაშვილი აქტიური ლობირების შედეგი იყო) და სამართლის აღდგენას ითხოვდნენ. ანუ ეს ტიპი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მოვიდა ოცნებაში და გავლენებით დახუნძლულმა ადამიანური რესურსიც გაიყოლა. აზრზე მოდით რა დონის ნაბიჭვარია. ეს იცით რას ჰგავს? უსახლკარო კაცს რომ შეიფარებ, ოთახს დაუთმობ, მერე ის, კარებს რომ ამოგიშენებს და დამოუკიდებელ შესასვლელს რომ გაუკეთებს იმ ოთახს. ეხლა ვიღაცა მეტყვის — არც კობახიძე და მდინარაძე მახსოვს 2011 წელსო. მე რაღაცეები უფრო კარგად მახსოვს მარა მაინც იგივე რეაქცია მექნება თუ ესენიც ისე მოიქცევიან როგორც გახარიამ იკადრა. ესენიც არაფრით მოვიდნენ და თუ არაფრითვე წავლენ, ეს მათი საქმე იქნება... ამ გუნდის აქტივი ძირითადად ბიძინას, კახის და ღარიბაშვილის ავტორიტეტმა შეკრიბა და სხვებმა ჯობია ხელის ფათურს თავი დაანებონ. მოგწონთ თუ არა ვიღაც-ვიღაცეებს ეს პარტია, კარგად გახსოვდეთ რომ ამ გაერთიანების დამსახურებით ჩამოვართვით ხელისუფლება იმ დედამოტყნულ გიჟს. ამ პარტიის რიგითი წევრების და დამფუძნებლების ენერგია, რესურსი და სახსრები დევს ამ გამარჯვებაში. ეხლა კაი აღარ მოგწონთ, უკეთესს ხედავთ ჰორიზონტზე??? ან რა დაგიშავათ ასეთი, ბოღმისგან რო სკდებით ზოგიერთი? უარესობისკენ წავიდა ქვეყნის საქმე? გზლუდავთ ვინმე რამეში? არა! გახარია თავისას მიიღებს რაც დაიმსახურა ამ ტრაკობით მაგის აფერისტი დედაც, მარა მე ის ხალხი მინდა ვნახო, პირში ჩალაგამოვლებულებს რო დატოვებს ბოლოს და ბოდიშსაც არ მოუხდის ამ ქაქში რომ გარია...“ სოციალურ ქსელში, ხშირად ისმის კითხვა, როგორ, რატომ იბადებიან ნაცლიდერების და მათი სექტის წევრების, ადამიანის მსგავსი არსებები. აღნიშნულ საკითხზე, მეც ხშირად მიფიქრია. პასუხს, განსაკუთრებით ორი ოქტომბრის შემდეგ ვეძებდი და ისევ სოციალურ ქსელში მივაგენი. „ქალიშვილი თურმე მთელი სიცოცხლე ინახავს პირველი სექსუალური პარტნიორის გენურ კოდს და რამდენი შვილიც არ უნდა გააჩინოს, ყველაში იქნება ამ გენის ნაწილი... მაგრამ თუ პირველი სექსი არის პრეზერვატივით, მაშინ იმახსოვრებს რეზინის კოდს... აი, ასე იბადებიან განდონები!“

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# „ნაციონალებო“, არ გრცხვენიათ, თქვენი საყვარელი პრეზიდენტი თხასავით რომ გაყიდეთ?

## ვინ ჩაუშვა სააკაშვილი — ეკამ, ნიკამ, ნიკანორმა თუ რომელიმე სხვა „ნაციონალმა“



— ყველაფერი ვიცოდით, ყველაფერს ვაკონტროლებდით. უკრაინიდან დაწყებული თბილისამდე სააკაშვილის მარშრუტის ყველა დეტალი ცნობილი იყო ჩვენთვის. იმ ბინის კარი, სადაც სააკაშვილი მარტო იმყოფებოდა, ამ ბინის გასაღებითვე შევაღეთ და ისე შევედით, — განაცხადეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მართლაც ფილიგრანული ოსტატობით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, რასაც სააკაშვილის დაკავება მოჰყვა.

სულ ტყუილი აღმოჩნდა ნაცების ხორხოცი — ხელისუფლება ჩამოიშალა, სახელმწიფო ჩამოიშალა, არც სუს-ი არსებობს, არც — შსს. ჩვენი „გულაობის“ დრო მოვიდაო — რომ ირწმუნებოდნენ თავიანთი უბადრუკი ტელევიზიების ეკრანებიდან.

განსაკუთრებით ნიკუტა გვარამია აქტიურობდა, გაუპატიურებულ ოფოფს რომ ჰგავს ზოგჯერ და ხელებს ფრთებივით რომ იქნევს.

მოკლედ რომ მოვჭრათ, არც ხელისუფლება ჩამოშლილა თურმე, ქართული სახელმწიფოც თავის ადგილზეა და ისეთი საოცარი სპეცოპერაციების ჩატარება შეუძლია, ნებისმიერ სახელმწიფოს რომ შეშურდება.



**ვივა, ირაკლი ღარიბაშვილი! ვივა, შსს! ვივა, სუსი!**

**ვაჲ, სააკაშვილი! ვაჲ, მელია! ვაჲ, „ნაცმოძრაობა“!**

— ყველაფერს ვაკონტროლებდით, ყველაფერი ვიცოდით! — ამბობს ხელისუფლება.

კი, მაგრამ, საიდან შეიძლებოდა სცოდნოდა ყველაფერი ხელისუფლებას?

საიდან და სააკაშვილის იმ უახლოესი გარემოცვიდან, რომელმაც სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა მოამზადა და ზუსტად იცოდა მიშიკოს გადაადგილების ყველა დეტალი.

ასეთი ადამიანების სრული სია ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ დანამდვილებით ვიცით ვინაობა იმ სამი პირისა, რომლებიც, დიდი ალბათობით, უშუალოდ მონაწილეობდნენ სააკაშვილის საქართველოში გადმოპორტირებაში.

ეს სამი პირია: ნიკანორ მელია, ეკა ხერხეულიძე, ნიკა გვარამია.

აქედან ეკა ხერხეულიძე, როგორც კი ხმა დაირხა, რომ სააკაშვილი საქართველოში იყო, პირველი დღიდანვე აცხადებდა, რომ სააკაშვილი მასთან სატელეფონო კავშირზე გამოვიდა.

არა მარტო ეკა ხერხეულიძე, არამედ „ნაციონალების“ სხვა წარმომადგენლებიც დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ სააკაშვილი უკვე საქართველოშია და დღედღეზე გამოჩნდებოდა მიტინგებზე.

ეს განცხადებები იმ დროს კეთდებოდა, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ კონსპირაციულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მსგავსი განცხადებების გაკეთება ძალიან ჰგავდა სათანადო უწყებებისთვის სიგნალის მიცემას: ეძებეთ! აქ არის! საქართველოშია!

„ნაციონალებში“ მოხალისე „სტუკაჩების“ რიგი დადგა, რომლებიც ერთმანეთს ასწრებდნენ „ჩვენებების“ ღია ეთერში გაჟღერებას.

„ქართული ოცნება“ ამტკიცებდა, რომ სააკაშვილს უკრაინა არ დაუტოვებია და ტრუსკავეცში ისვენებს, „ნაციონალები“ კი თავს იკლავდნენ: არა, ბატონო, ნამდვილად ვიცით, რომ აქ არის, საქართველოში.

„ნაცებმა“ „ქართული ოცნების“ მიერ გოიმებისთვის გადაგდებული ანკესი ყლაპეს და მართლა დაიჯერეს, რომ ქვეყანაში შემოპარულ ორმეტრიან ახმახს, სააკაშვილს, უჩინმაჩინის ქუდი ეხურა და ისე დასეირნობდა ხან ბათუმის, ხან — თბილისის ქუჩებში, რომ ვერავინ ხედავდა, ვერავინ ამჩნევდა.

— საპატრულო პოლიციამ ის მანქანა გააჩერა, სადაც მე ვიჯექი. წესების დარღვევისთვის მძღოლი დააჯარიმეს, მე კი ვერ მიცნეს და გაგვიშვესო, — უთქვამს სააკაშვილს.

და მაინც, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მთავარი მეკავშირე სააკაშვილის მეგობრებიდან ძალოვან სტრუქტურებთან?

შეიძლებოდა ეს ყოფილიყო ეკა, შეიძლებოდა ეს ყოფილიყო ნიკა, ან სულაც ნიკანორი, რომელსაც ყველაზე მატად აძლევდა ხელს ის სცენარი, რომლითაც სააკაშვილის გასკვანჩვა მოხდა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: „ნაციონალებმა“ თხასავით გაყიდეს თავიანთი საყვარელი ბელადი, ხოლო კონკრეტულად ვინ და რამდენმა „ნაცმა“ გააკეთა ეს, ამაზე „ნაცებმა“ იმტვრიონ თავი.

ერთი რამ ცხადია: ციხეში გამოკეტილი სააკაშვილით ნაციონალები ბოლომდე ივაჭრებენ და შეეცდებიან, რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ ეს უკვე ჩამოწერილი პოლიტიკური „ტავარი“.

ერთი ზელენსკიმ თუ არ იმარჯვა და „ნაციონალებს“ ფუკასავით თუ არ ააწაპნა ეს ძვირფასი „განძი“, „ნაციონალების“ ხელიდან სააკაშვილი კარგა ხნის გაყიდულია, ოღონდ ამის შესახებ საბრალო მიშამ ჯერჯერობით არაფერი იცის.

**დავით ქავთარია**



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ: 593 78 64 69

**— ვარ ხანდაზმული მოხუცი. ქმარი და შვილები არ მყავს. მივლის მეზობლის ქალი, რომელიც ოჯახის წევრად მიმაჩნია. ამასთან, მყავს ძმიშვილები, რომლებიც, საერთოდ, არ მაქცევენ ყურადღებას. მსურს, მეზობლის სახელზე გავაფორმო სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება. მაინტერესებს, ძმისშვილებს ხომ არ ექნებათ სამართლებრივი პრეტენზიები? გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.**

— ამგვარი სახის შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. როგორც ჩანს, საკითხი აქტუალურია. ამიტომ მოგაწოდებთ სრულყოფილ ინფორმაციას თქვენვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

თქვენ არ გყავთ 1- რიგის მემკვიდრეები- მეუღლე და შვილები, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა გასჩენოდათ გარკვეული ქონებრივი სახის პრეტენზიები. ყველა სხვა დანარჩენნი განეკუთვნებიან მომდევნო რიგის მემკვიდრეებს. ქონება თქვენია და თქვენ, როგორც მესაკუთრე, თქვენი სურვილისამებრ განსაზღვრავთ მის იურიდიულ ბედს.

— უფრო მეტი სიზუსტისათვის დავძენ, რომ თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე თავით, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

# თანამედროვე სამეფო ოჯახების წევრთა არასამეფო პროფესიები

თანამედროვე ცხოვრება თავის წესებს გვკარნახობს და თუ ადრე სამეფო ოჯახების წევრები მხოლოდ სახელმწიფო საქმეებით იყვნენ დაკავებული — აწყობდნენ მიღებებს და ქველმოქმედებას ეწეოდნენ, თანამედროვე საზოგადოების რეალიები სხვა წესებს კარნახობს მათ. სულ უფრო და უფრო მეტი არისტოკრატი ცხოვრობს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებით და ჩვეულებრივ პროფესიებს იძენს. ისინი საზოგადოებაში დამკვიდრებული ადგილის იმედად


პრინცესა სოფია

კი არ არიან, არამედ ცდილობენ, საკუთარი უნარები გამოავლინონ და თავს ვალდებულად თვლიან, ადამიანებს რეალური საქმეებით დაეხმარონ.

**უილიამი, კემბრიჯის ჰერცოგი, სტრატხერნის გრაფი, კარიკფერგიუსის ბარონი.** ინგლისის ტახტის მემკვიდრემ საუკეთესო განათლება მიიღო. იტონის კოლეჯი, სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტი, სამეფო სამხედრო აკადემია — აი იმ პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებიც პრინცმა უილიამმა დაამთავრა. 2009 წელს ლეიტენანტმა ვინძორმა სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენოსნო სკოლაში დაიწყო სწავლა. მიღებულმა განათლებამ საშუალება მისცა, სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების სამაშველო ვერტმფრენის პილოტი გამხდარიყო.

უილიამი მონაწილეობდა სპეციალურ ოპერაციებში. რამდენიმე წლის შემდეგ კვალიფიკაცია აიმაღლა და მუშაობა დაიწყო კომპანია **Bond Air Services**-ში, რომელიც სასწრაფო დახმარების აღმოჩენაზეა სპეციალიზებული. სამეფო სისხლის მფრინავი არა მარტო მისთვის მინდობილ ტერიტორიას ამოწმებდა ჰაერიდან, არამედ ბევრი ადამიანის სიცოცხლეც გადაარჩინა.

მან შეძლო გადაერჩინა ღია ზღვაში მყოფი ორი მოზარდი, რომლებიც ნაპირიდან დინებამ წაიღო; დაენახა და გადაერჩინა ალპინისტი, რომელმაც გონება დაკარგა; ოპერატიულად წაეყვანა საავადმყოფოში ავტოკატასტროფაში მოხვედრილი გოგონა და დაჭრილი ქალი. უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასს პრინცი უილიამი საქველმოქმედო ორგანიზაციებში რიცხავდა.

**ვილემ-ალექსანდრი, ნიდერლანდების მეფე.** რუსეთის იმპერატორის პაველ I-ის შთამო-


პრინცესა შარლოტა

მავალი და, უბრალოდ, ორანის პრინცი, ცნობილია თავისი განათლებისა და ფართო თვალსაწიერის წყალობით. მან უმაღლესი განათლება ლეიდენის უნივერსიტეტში მიიღო როგორც ისტორიკოსმა, მოგვიანებით კი, როგორც მომავალი მეფე, სტაჟირებას გადიოდა ჯარის სხვადასხვა სახეობების ნაწილებში. თუმცა მისი მთავარი გატაცება ცის სიყვარულია. მონარქის ტიტულის მიღების შემდეგაც კი, 2013 წლიდან, ის ფრენაზე ოცნებას განაგრძობდა.

2017 წელს ვილემი ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ სამეფო გვირგვინს ხელი არ შეუშლია მისთვის, ჩვეულებრივ ადამიანად დარჩენილიყო და 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეფრინა.

2020 წლის იანვარში ისრაელის ბენ-ჰურიონის აეროპორტის თანამშრომელი იქ ჩაფრენილ ავიალაინერ **Boeing-747**-ს შემდეგი სიტყვებით შეხვდა: „შალომ და კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, თქვენო უდიდებულესობავ!“ — თვითმფრინავის საჭესთან ნიდერლანდების მეფე იჯდა, რომელმაც ქვეყანაში სამთავრობო დელეგაცია ჩაიყვანა.

**იოახიმი, დანიის პრინცი, მონპეზას გრაფი.** დედოფალ მარგარეტ II-ის უმცროს ვაჟს საუკეთესო კერძო მასწავლებლები ასწავლიდნენ, შემდეგ კი კოპენჰაგენისა და ნორმანდიის საუკეთესო სკოლებში სწავლობდა. რადგან ტახტის მემკვიდრე არ იყო, შეეძლო ნებისმიერი პროფესია აერჩია. ამიტომ პრინცი რამდენიმე წელს კერძო ფერმაში მუშაობდა, შემდეგ კი აგრარულ-ეკონომიური განათლება მიიღო. მიღებულ განათლებას წარმატებით იყენებდა პრაქტიკაში: დაქორწინების შემდეგ ის მემკვიდრეობით მიღებულ შაკენბორგის მამულში დასახლდა, სადაც ძველი ციხე-კოშკი აღადგი-


პრინცი უილიამი

ნა და სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი შემოსავლიან საქმიანობად აქცია.

**ნიკოლაი, დანიის პრინცი, მონპეზას გრაფი.** იოახიმის ვაჟმა ნიკოლაიმ საშუალო განათლება მიიღო და პროფესია ჯერ არ აურჩევია. ის 21 წლისაა და ძალიან სიმპათიური ახალგაზრდაა, რამაც საშუალება მისცა სამოდელო ბიზნესში დაეწყო კარიერა. 18 წლის ასაკში მან მონაწილეობა მიიღო სამოდელო სახლის **Burberry**-ს ჩვენებაში, რითიც მრავალი თაყ-


ნიდერლანდების მეფე ვილემ-ალექსანდრე

ვანისმცემლის გული დაიპყრო. მოგვიანებით სამოდელო სააგენტო **Scoop Models**-მა დაადასტურა პრინცთან თანამშრომლობის ფაქტი.

ამის დასტურად კომპანიის ინსტაგრამზე ბევრი ფოტო დევს, სადაც ახალგაზრდა კამერების წინ პოზირებს. 2019 წლის აპრილში **Vogue**-ს უკრაინული ვერსიის გარეკანზე პრინცის ფოტო იყო განთავსებული — ის **Dior Men**-ის სარეკლამო სახე გახდა. როგორც პრინცი აღიარებს, სამეფო ტიტულის გარეშე თავი ვერ წარმოუდგენია. მიუხედავად ამისა, ნიკოლაი ამბობს, რომ ჩვეულებრივი ბიჭის ცხოვრებით ცხოვრობს — მას არ აწუხებს მრავალრიცხოვანი სამეფო ვალდებულებები, უყვარს


პრინცი ნიკოლაი

გართობა და ხვდება გოგონას, რომელიც ბიზნეს-სკოლაში მისი თანაკლასელია.

**შარლოტა კაზირაგი, მონაკოს პრინცესა.** ქალიშვილს მონაკოს უმდიდრესი სამეფოს ტახტის მემკვიდრეების სიაში მეთერთმეტე ადგილი უკავია, ამიტომ ოფიციალური ვალდებულებები არ გააჩნია. მისი დედა, პრინცესა კაროლინა შარლოტას და მის ორ ძმას სოფელში ზრდიდა, რათა ბავშვებზე მედიის ზეწოლა მინიმუმამდე დაეყვანა. ამის წყალობით პრინცესა საზოგადოების ბევრ პრობლემას სულ სხვაგვარად უყურებს. მან სორბონას უნივერსიტეტი დაამთავრა, როგორც ჟურნალისტი, რობერტ ლაფონის გამომცემლობებში მუშაობდა და ბრიტანული **The Independent**-ისთვის წერდა სტატიებს.

2009 წელს ნიჭიერი პრინცესა ჟურნალ **Above**-ს მთავარი რედაქტორი გახდა, შემდეგ კი მეგობრებთან ერთად დაიწყო საკუთარი ჟურნალის გამოცემა. შარლოტა დიდი ყურადღებას უთმობს ფილოსოფიის საკითხებს. 2015 წელს მან ორგანიზება გაუწია საზოგადოებას „ფილოსოფიური შეხვედრები“, სადაც მონაწილეები გამოთქვამდნენ საკუთარ შეხედულებებს თანამედროვე ცხოვრებისა და საზოგადოების პრობლემების შესახებ.

**სოფია, შვედეთის პრინცესა, ვერმლანდის ჰერცოგინია.** ვერ ვიტყოდით, რომ ტიტული გოგონამ დაბადებიდან მიიღო. ის ცოლად გაჰყვა შვედეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეს კარლ ფილიპს, ამასთან, ამ ლამაზმანის ადრინდელი ცხოვრება უმწიკვლოებით არ გამოირჩეოდა. გათხოვებამდე სოფიამ მონაწილეობა მიიღო რეალითი-შოუში და შიშველი ფოტოებიც გადაიღო. რა


პრინცი იოაჰიმი

თქმა უნდა, ახლა ფოტომოდელ სოფია ჰელკვისტის ფოტოების მოძებნა შეუძლებელია. ამჟამად ის აქტიურად არის დაკავებული იოგათი და ნიუ-იორკში საკუთარი სკოლაც კი გახსნა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


ნიდერლანდების სამეფო ოჯახი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99